პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა:
ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე 2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადება—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 158 ხუთშაბათი, 13 ივლისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 13 ივლისი 1922 წ. № 158

კომიაჩეიკებზე მიმაგრებულ ყველა პასუხისმგებელ პარტიულ ამხანაგებს და კომიაჩეიკების ყველა მდივნებს.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს კომიაჩეიკებზე მიმაგრებულ ყველა პასუხისმგებელ პარტიულ ამხანაგებს და კომიაჩეიკების ყველა მდივნებს გამოცხადდენ ამა წლის 13 ივლისს, ხუთშაბათს, ქალაქის აღმასკომის დარბაზში **საინსტრუქციო მოხსენებაზე** მომავალ ერთიან პარტიულ დღის მოწყობისათვის.

თემა—**კომინტერნის აღმასკომის პლენუმის შედეგები.**

ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა კომიაჩეიკებს ამა ივლისის 14 პარასკევს

მორიგი ერთიანი პარტიულ დღეს

დასვას დღის წესრიგში შემდეგი საკითხები:

1) კომინტერნის აღმასკომის პლენუმის შედეგები.
2) ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ერთიანი ფულის ნიშანი.

პირველი საკითხის შესახებ მასალა დაურიგდებათ მიმაგრებულ ამხანაგებს საინსტრუქტორო მოხსენებაზე ხუთშაბათს 13 ივლისს 5 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში, ხოლო მეორე საკითხის შესახებ თეზისები მოთავსებული იქნება ადგილობრივ პრესაში პარასკევს 14 ივლისს.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **კახიანი.**

თბილისის ფინანსიური მდგომარეობა

თბილისის ეკონომიურ ფინანსიურ მდგომარეობას აქვს არა მარტო ადგილობრივი, არამედ უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც. დედა-ქალაქის სამეურნეო ცხოვრების გაჯანსაღება ხელს შეუწყობს მთელი რესპუბლიკის მოღონიერებას და განმტკიცებას. ამასთან თბილისის მუნიციპალური საქმეების კარგად დაყენება მისაბაძი მაგალითი იქნება საქართველოს დანარჩენი ქალაქებისა და რაიონებისთვის.

კატასტროფიული იყო ქალაქის მდგომარეობა, როცა საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აქ. მენშევიკებმა მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვეს. მათ სამი წლის განმავლობაში სრული უუნარობა, დაუდევრობა და უმოქმედობა გამოიჩინეს ქალაქის საქმეების მოგვარებაში. ქალაქის წარმოება სრული დანგრევის წინაშე იდგა. ფინანსები უკიდურესად არეული იყო. მათ ქალაქის მასშტაბით ბიუჯეტის შედგენა ვერ მოახერხეს. არავითარი საერთო გეგმა მათ არ ჰქონდათ გამომუშავებული. მათ მოქმედებას სავსებით შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.

ქალაქის აწეწილ საქმეების მოწესრიგება ადვილი არ იყო ახალი ხელისუფლებისათვის, იმ ობიექტიურ პირობებში, რომლებშიაც ჩვენ გვიხდება ცხოვრება.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბევრი დაბრკოლება იქნა გადალახული; ქალაქის ახალმა მმართველებმა, მუშათა საბჭომ და მისმა აღმასკომმა არამც თუ შესძლეს ნგრევის შეჩერება, არამედ ქალაქის მეურნეობა გამოცოცხლების და გაჯანსაღების გზაზე დააყენეს.

ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ანგარიში თბილისის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ, რომელიც იბეჭდება ჩვენი გაზეთის დღევანდელს ნომერში. ფინანსების მდგომარეობა გამოხატულებაა მთელი მეურნეობის.

შემოსავლის ზრდა, რომელსაც ადგილი აქვს თბილისში (9, 4 მილიარდ მანეთიდან იანვარში 25, 7 მილიარდ მანეთამდე მაისში), მოწმობს ერთი მხრივ ქალაქის წარმოების გაძლიერებას, მეორე მხრივ საგადასახადო სისტემის შედარებით მოგვარებას. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ შემოსავალი წარმოებიდან სისტემატიურად მატულობდა, ხოლო წმინდა ფინანსიური ხასიათის შემოსავალი მიუხედავად აბსოლიუტური ზრდისა, თანდათან მცირდებოდა. საგადასახადო შემოსავალი, როგორც უმთავრესი წყარო, ქალაქის მასაზრდოებელი, მაჩვენებელი იქნებოდა ეკონომიკის სისუსტის, რაც ბოლოს და ბოლოს თვით ფინანსიურ, შემოსავალს შეუძლებელს გახდიდა. ცხადია, რომ ჩვენი ქალაქის ფინანსები მყარ ნიადაგზე დგება: წარმოების აღორძინებაზე, შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, მატერიალურ ღირებულებათა შექმნაზე. ეჭვი არ არის, ქალაქის საბჭო ამ მიმართულებით გააძლიერებს მუშაობას და მთავარ ყურადღებას წარმოების აყვავებას მიაქცევს.

მაგრამ რაც უნდა აღორძინდეს წარმოება, ქალაქი მარტო მის შემოსავალს ვერ დაემყარება.

საჭიროა გადასახადების უკეთ მოგვარება, მათი გაძლიერება, კერძოდ შესაფერი რაოდენობის გადასახადის შემოღება სახლებზე, შემფასებელ გადასახადის სახით, და დარაბებზე და სხ. ასეთმა ღონისძიებებმა უნდა მისცეს ქალაქს საშუალება არა მარტო ჯერ კიდევ არსებულ დეფიციტის დასაფარავად, არამედ ახალი წარმოებითი დაწყებულებათა გასაჩაღებლად.

ქალაქის ფინანსების გამოსწორებას ხელს შეუწყობს აგრეთვე კომუნალურ სამსახურისათვის ფასის გადახდევინების მტკიცედ გატარება. ამ მხრივ საქმე ჯერ კიდევ ვერ არის კარგად მოგვარებული. სახელმწიფოებრივი სხვა ორგანიზაციები, რომელნიც სარგებლობენ ქალაქის სამსახურით, ჯერ კიდევ ვერ შეეგუენ სავსებით ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ამ მთავარ დებულებათაგანს. ამ ძველ ჩვეულებას ბოლო უნდა მოეღოს. მაგრამ ქალაქის ფინანსების გაჯანსაღება შეუძლებელია საბოლოოდ, თუ მტკიცე ბიუჯეტი არ იქნება შედგენილი, და აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული ახალი საბჭოს მუშაობა.

ფინანსების საკითხთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობას. კოლექტიურ ხელშეკრულებების წყალობით შედარებით გაუმჯობესდა მათი მდგომარეობა. საჭიროა შემდეგი ნაბიჯის გადადგმა და მტკიცე სამუშაოს დაწესება. ქალაქს ამით ხარჯები მოემატება, მაგრამ საბჭო შესძლებს საამისო საშუალებათა გამონახვას.

თბილისის ქალაქის მეურნეობა ეწყობა, მისი ფინანსები ჯანსაღდება, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რესპუბლიკის ცენტრის ეკონომიურ-ფინანსიური საქმეების მოგვარება შეიქნება სამაგალითო ჩვენი ქალაქებისათვის.

პრესა

მენშევიკები და ესერები.

მენშევიკებისა და ესერების დამობილება „ახალი ამბავი“ არ არის. ამ კავშირს კიდევ ახალი ენერგია შემატა ესერების პროცესმა. მენშევიკები ერთი ნაწილია იმ წვრილ ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის, რომელიც იარაღით ხელში იბრძოდა და გვპირდება მომავალშიაც ამ ბრძოლას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა სალიკვიდაციოთ. ამხ. ქ. რადეკი ეხება რა მოსკოვის „პრავდა“-ში ამ საკითხს, სწერს სხვათა შორის შემდეგს:

„ესერების პროცესმა სრულიათ გამოარკვია მენშევიკების პოზიცია. ისინი სიტყვას არ სძრავენ, რომ მოითხოვონ ესერებისგან იარაღით ბრძოლის უარყოფა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგიერათ ისინი მოითხოვენ ამ უკანასკნელისაგან, რომ მან თავი მიანებოს ესერების წინააღმდეგ რეპრესიებს, მიუხედავათ იმისა, რომ ესერები აცხადებენ, რომ მათ მომავალშიაც აზრათ აქვთ იარაღით ხელში ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ბატონი მარტოვი ყვირის მენშევიკების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების შესახებ, მაგრამ თავისი ღმუილით ესერების დასაცავათ, ევროპის „საზოგადოებრივი აზრის“ მობილიზაციით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ის ამტკიცებს, რომ როგორიც არ უნდა იყოს იდეოლოგიური წარსული მენშევიკების, როგორათაც არ უნდა სხვავდებოდენ წარსული ესერებისაგან—**დღეს ისინი არიან ერთი ნაწილი სწორეთ იმ ფრონტის, რომლის დამკვრელ ბატალიონს წარმოადგენენ ესერები.** ამიტომ თავისავე თავს დააბრალონ მენშევიკებმა, თუ მათ მიუზღავენ არა იმისდა მიხედვით, რომ ისინი წარმოშობილი არიან პლეხანოვისაგან და არა მიხაილოვსკისაგან, არამედ იმის მიხედვით, რომ ისინი არიან მოკავშირენი ესერების წვრილბურჟუაზიული პარტიის, რომელიც გლეხთა პარტიათ გახდომის მოსურნეთაგან შეიქნენ ისეთებათ, რომლებიც ილტვიან ფაქტიურათ კაპიტალიზმის სრული აღდგენისაკენ“.

⁂

რუსეთის პროფკავშირები.

პროფკავშირების სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს ხუთი წლის იუბილეს გამო ამხ. მ. ტომსკი სწერს ამ საბჭოს ორგანოში, „ტრუდ“:

„მთელი რიგი ძნელი და რთული კითხვებისა საკავშირო პრაქტიკის სფეროდან სდგას საბჭოსა და ყველა პროფორგანიზაციების წინაშე. ეს არის კითხვები პროფკავშირების პრაქტიკულად გადასვლის შესახებ ახალ ლიანდაგზე. მაგრამ, ვავლებთ რა თვალს უკვე განვლილ და უკან მიტოვებულ ხუთი წლის მანძილს, ჩვენ შეგვიძლია ამაყათ და გაბედულათ ვთქვათ რუსეთის ყველა პროფორგანიზაციებთან ერთათ: ჩვენ ვიცით, რომ წინ გვიძევს დიდი და ძნელი სამუშაო, ჩვენ ვიცით, რომ ის არის ძნელი და მძიმე, ვიცით, რომ ეს სამუშაო მოითხოვს დიდ ყურადღებას, ბევრ მოფიქრებას, მოთმენას და ენერგიას. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ძველებურათ, ხელიხელ ჩაკიდებულნი ჩვენ მუშათა ხელისუფლებასთან, ჩვენ მუშათა კომუნისტურ პარტიასთან ერთათ, შევასრულებთ ამ სამუშევარს.

ნდობა, შედუღება-შეკავშირება და მხარის დაჭერა მუშათა მილიონებისა იქნება ჩვენი ჯილდო“.

ესერების პროცესი

ესერების სამხედრო მუშაობა

შავი ზღვის განმათავისუფლებელი კომიტეტი.

მოსკოვი, 12 ივლისი (რადიო) 11 ივლისის დილის სხდომაზე, მოწმე ფილიპოვსკი, რომელიც მუშაობდა შავი ზღვის რაიონში, როგორც ესერების ცეკას წარმომადგენელი, იძლევა შემდეგ ჩვენებას: შავი ზღვის რაიონის გლეხობის არალეგალურმა ყრილობამ ამოირჩია „შავი ზღვის განთავისუფლების კომიტეტი“, რომელმაც საჩქაროდ შეადგინა დიდი სამხედრო რაზმები დენიკინელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ფილიპოვსკი ახასიათებს ესერების მუშაობას შავი ზღვის რაიონში, როგორც დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლას და აცხადებს, რომ შემდეგ „განთავისუფლების კომიტეტის“ წევრები ურჩევდენ გლეხობას თავი დაენებებიათ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლებისათვის. ფილიპოვსკი ამბობს, რომ მაშინ კომიტეტის წევრებს დემოკრატიის შორის მხოლოდ იდეური ბრძოლა მიაჩნდათ შესაძლებლად. „განთავისუფლების კომიტეტის“ წევრი ესერები, შავი ზღვის რაიონში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კომუნისტებთან ერთად ებრძოდენ დენიკინს. „შავი ზღვის განმათავისუფლებელი კომიტეტის“ სათავეში იდგა პოლკოვნიკი ვორონოვიჩი, როგორც სამხედრო სპეციალისტი. თავმჯდომარის მოადგილე იყო ფილიპოვსკი. შემდეგ ვორონოვიჩი პარტიის წინაშე დანაშაულობის ჩადენისათვის გამორიცხულ იქნა პარტიიდან.

წინააღმდეგობანი

კრილენკო მოითხოვს წაკითხულ იქნეს ციტატები საზღვარ-გარეთულ გაზეთ „ვოლია როსიიდან“, სადაც დაბეჭდილია ბაასი ვორონოვიჩთან და მოწინავე წერილი ამის შესახებ. ვორონოვიჩის ინტერვიუში ნათქვამია ვორონოვიჩის სიტყვებიდან, რომ შავი ზღვის რაიონში ბრძოლა სწარმოებდა ორი მიმართულებით: მოხალისეთა არმიისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ. გლეხურ მოძრაობას ორი მიზანი ქონდა დასახული: კომუნისტებისა და დენიკინელების ჩამოგდება.

ამ ციტატების წაკითხვის შემდეგ ფილიპოვსკი აცხადებს, რომ „შავი ზღვის განთავისუფლების კომიტეტი“ არავითარ დირექტივებსა და რწმუნებას არ ღებულობდა საზღვარ გარეთიდან.

მეორე მოწმე ოსოკინი საერთოდ იმეორებს ფილიპოვსკის ჩვენებას.

ანტონოვის ბანდიტური მოძრაობა და ესერები

ტრიბუნალი გადადის ტამბოვის გუბერნიაში ანტონოვის ბანდიტურ მოძრაობის განხილვაზე. სასამართლოს გამოძიების პირველი ნაბიჯები აშკარავებენ ანტონოვის კავშირს ესერების ადგილობრივ ორგანიზაციებთან. თავმჯდომარე აქვეყნებს მოხსენებას ტამბოვის დელეგაციისას, რომელიც წაკითხული იყო სრულიად რუსეთის ესერების პარტიულ კონფერენციაზე 1920 წლის სექტემბერში. ამ მოხსენებაში შემდეგია ნათქვამი: „1920 წლიდან ესერების ტამბოვის ორგანიზაციამ გადასწყვიტა გადასულიყო ლეგალურ მუშაობაზე, რომელიც უმთავრესად სწარმოებდა გლეხობის შორის. მემარჯვენე ესერებმა, მემარცხენეებთან ერთად, დაიწყეს უპარტიო მშრომელი გლეხობის კავშირების მოწყობა, რომელთა მიზანიც იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. კავშირის პროგრამაში შეტანილი იყო მიწის სოციალიზაცია“. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გლეხობის ორგანიზაციის მოწყობა ტამბოვის გუბერნიაში წარმატებით მიმდინარეობს. მოწყობილ იქნა სარაიონო კომიტეტი 3 კაცისგან შემდგარი—ერთი მემარჯვენე ესერი, ერთი მემარცხენე და ერთიც უპარტიო. 1920 წელს ზაფხულში მოწვეულ იქნა გლეხთა კავშირების საგუბერნიო კონფერენცია. ტამბოვის პარტიულ ამხანაგების განწყობილება იყო (გამოტოვებულია უამინდობის გამო)... ტამბოვის დელეგაცია მოითხოვდა პარტიულ კონფერენციას (გამოტოვებულია).. მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ანტონოვი, რომლის დავალებითაც (გამოტოვებულია)...

საღამოს სხდომა.

11 ივლისის საღამოს სხდომაზე კრილენკო აქვეყნებს მთელ რიგ დოკუმენტებს, რომელნიც წარმოადგენს ეხლა ვორონოვიჩის ნამდვილ მიწერ-მოწერას პარიზის ადმინისტრატიულ ცენტრთან. ვორონოვიჩმა ამ ცენტრის დავალებით რამოდენიმე ხანი დაყო კონსტანტინოპოლში, სადაც მან მოაწყო კონტრ-საზვერავი ორგანიზაცია, რომელიც ეცნობოდა ჩრდილო კავკასიაში საქმის მდგომარეობას და კავკასიაში საბჭოთა ჯარების ბინადრობას. კავკასიაში იგზავნებოდენ აგენტები. ვორონოვიჩის ჯაშუშურმა ორგანიზაციამ გამოიწვია ცხოველი ინტერესი საფრანგეთისა და ინგლისის კონტრ მზვერავებისა, რომელნიც სიამოვნებით სარგებლობდენ ამ ცნობებით.

ამ დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ ბრალდებული (გვარი დამახინჯებულია) აქეთებს განცხადებას, რომ ესერების პარტიის ცეკა არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს თავის თავზე და რომ იგი პასუხს აგებს მხოლოდ საზღვარ-გარეთულ დელეგაციის შესახებ, რომელშიც შედიოდენ რუსანოვი, რუბანოვიჩი, სუხომლინი და ზენზინოვი.

პიატაკოვი კითხულობს ციტატებს ესერების გაზეთ „ვოლია როსიიდან“ რომელიც დადებითად იხსენიებს ვორონოვიჩის მუშაობას. საზღვარ გარეთულ ესერებმა ვორონოვიჩს მიანდვეს მემორანდუმის შედგენა შავიზღვის რაიონის მდგომარეობის შესახებ. (გამოტოვებულია).. აცხადებს, რომ „ვოლია როსიი“ არ არის ოფიციალური ორგანო პარტიისა და რომ მას არ სურს იკისროს პასუხისმგებლობა ამ გაზეთში მოთავსებულ წერილების შესახებ. ტიმოფეევი აცხადებს რომ იგი უკმაყოფილო იყო გაზეთის ფიზიონომიით და სურდა გაზეთისათვის მოეხსნათ სახელწოდება. პიატაკოვი აქვეყნებს ჩერნოვის პასუხს, სადაც ეს უკანასკნელი კატეგორიულად წინააღმდეგი არის გაზეთში პარტიული სახელის მოხსნისა.

მცირეოდენი შესვენების შემდეგ კრილენკო იწყებს ახალი დოკუმენტების გამოქვეყნებას. (დასასრული არ არის მიღებული)...

საქართველოს
ეროვნული

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა“)

გერმანიის ამბები

კანონ პროექტი თავდაცვის შესახებ.

ნაუენი 11 ივლისი (რადიო). სახალხო პარტიის კომისიამ მოიწონა რეიხსტაგის მიერ დაკავებული პოზიცია რესპუბლიკის თავდაცვის კანონ პროექტის მიმართ. სოციალისტური გაზეთებს ეს კანონ-პროექტი მაინც არ მიაჩნიათ დამაკმაყოფილებლად. გაზ. „ფორვერტს“ მოითხოვს რეიხსტაგის დათხოვნას.

მემარჯვენეები უკმაყოფილონი არიან.

ნაუენი 11 ივლისი (რადიო). გაზ. „კელნიშე ცეიტუნგი“ მიაქცევს ყურადღებას ახალი რევოლიუციის **საფრთხის არსებობის ნიშნებს და მოუწოდებს საშუალო კლასებს ებრძოლონ სოციალისტების ტერორს როგორც ქუჩაზე, ისე რეიხსტაგში და აგრეთვე იომონ თავისი საკუთარი არსებობის დასაცავად, რათა თავიდან აიცილონ სოციალისტური ქაოსის ჯურღმულში გადაჩეხა.**

კანონ პროექტი ამნისტიის შესახებ.

ნაუენი. 11 ივლისი რადიო. კვლავ რიგში დაისვა კანონ-პროექტი ამნისტიის შესახებ. ბურჟუაზიული პარტიები უარს ამბობენ სოციალისტების მოთხოვნილებათა მიღებაზე, რომელიც გამოიხატება ამნისტიის მოხდენიებზე და იმ პირებზე გავრცელებაში, რომელნიც ეწეოდენ აგიტაცია პროპაგანდას რკინის-გზელთა უკანასკნელი გაფიცვის დროს.

გაფიცვის შესაძლებლობა

ნაუენი 11 ივლისი (რადიო). შრომის მინისტრი იწყებს ესენში მაღარის ნუშესთან მოლაპარაკებას, იმ გაფიცვის, რომელიც გამოცხადებულია 6 აგვისტოსათვის.

გერმანია და საფრანგეთი.

ნაუენი 11 ივლისს რადიო. პარიზის გაზ. „ექსელსიორის“ კორესპონდენტთან ბაასში, კანცლერ ვირტმა აღნიშნა, რომ გერმანიისათვის დადგა გადამწყვეტი წუთები. მან დაადასტურა ის, რომ გერმანიის მთავრობა ემზადებოდა შეთანხმებოდა საფრანგეთს იმ პირობებზე, რომელიც შეიმუშავეს ამერიკელ ბანკირებმა სესხის უზრუნველსაყოფად. მაგრამ პუანკარე არ ენდო ამ გეგმას, თუმცა საფრანგეთის ხალხის უმრავლესობას სურს შეუთანხმდეს გერმანიას, როგორც ეს თვითონ გერმანიასაც უნდა. ვირტმა გამოსთქვა სურვილი იმისა, რომ ანტანტამ ბოლოს და ბოლოს უნდა გაიგოს, თუ კი იგი არ დაეხმარება გერმანიის მთავრობას, ისე გერმანიას განადგურება მოელის.

ნაუენი. 11 ივლისი (რადიო) კოპენჰაგენის გაზეთი „ექსტრა-ბლადეტი“ აღნიშნავს, რომ იმ საშიშ მდგომარეობის მიზეზი, რომელიც დღეს არსებობს გერმანიაში არის ფატალური გერმანიისათვის საზავო ხელშეკრულება, რომლის მიზანია საბოლოოთ დაბეჩავოს დამარცხებული ქვეყანა და რომელიც უპირცხვილოდ არღვევს ყველა ძველ დაპირებებს.

რატენაუს მოკვლის გამო.

ბორდო. 11 ივლისი (რადიო) კვლევა-ძიებამ დაადასტურა ინჟინერ კაურიცის მონაწილეობა რატენაუს მკვლელობაში.

ჰააგის კონფერენცია

კრედიტების კომისიაში.

ბორდო, 11 ივლისი. (რადიო). სამშაბათს, საფრანგეთის წარმომადგენლის შეკითხვაზე კრედიტების კომისიაში, საბჭოთა დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი მოითხოვენ კრედიტების საბჭოთა მთავრობისათვის და არა კერძო პირებისათვის მიცემას.

კერძო საკუთრების კომისიაში

ბორდო. 11 ივლისი. (რადიო). ორშაბათს გაიმართა კერძო საკუთრების კომისიის სხდომა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საგარეო ვაჭრობის მოწესრიგება

მოსკოვი. 2 ივლისი საგარეო ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულთა სრულიად რუსეთის დელეგატების ყრილობის თათბირმა დაადგინა დაავალოს ყირიმის რწმუნებულს, არ მისცენ ნება იმ გემების გადმოტვირთვისა, რომლებიც მოდიან იმ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულების უვიზოთ, საიდანაც გემი გამოვიდა. იმ გემების გადმოტვირთვა, რომლებიც უვიზოთ მოდიან დაშვებულ უნდა იქნეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, და იგიც სასურსათო პროდუქტების მიმართ.

ახალი აღმოჩენა.

მოსკოვი. 12 ივლისი (რადიო). **ბელორუსიის უნივერსიტეტის პროფესორმა ლენსკიმ მინსკში მოახდინა ახალი აღმოჩენა ცოცხალი ქსოვილების სიკვდილისა და ორგანიზმის სიცოცხლის განგრძობის სფეროში.**

საბჭოთა მართლმსაჯულება.

მოსკოვი 12 ივლისი (რადიო). ტულის რევტრიბუნალში დაიწყო ტულის ეპისკოპოზის იუვენალის და სხვა სასულიერო პირთა პროცესი, რომელთაც ბრალი ედებათ საეკლესიო განძეულების სამრეკლოზე დამალვაში.

სამშობლოში ბრუნდებიან.

მოსკოვი. 12 ივლისი (რადიო). **კრასნოდარიდან იტყობინებიან: კრასნოდარში დაბრუნებულ ვრანგელელ ოფიცრებმა მოათავსეს პრავდაში ღია წერილი საზღვარ გარეთელ ემიგრანტებისადმი მოწოდებით, რომელშიც ისინი მოუწოდებენ მათ სამშობლოში დაბრუნებისაკენ.**

ბაზრობა პეტროზავოდსკში.

მოსკოვი. 12 ივლისი (რადიო). პეტროზავოდსკში გაიხსნა ბაზრობა, რომელიც ძალიან ცოცხლად მიმდინარეობს.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

ამერიკის ჩარევა.

ნაუენი. 11 ივლისი. (რადიო). ბრიტანეთის კაბინეტმა სთხოვა ამერიკის ელჩს ლონდონში გარვეის, წარადგინოს ვაშინგტონში მოხსენება, გერმანიის ფინანსიური კრიზისის გამო, ამერიკის ამ საქმეში ჩარევის აუცილებლობის შესახებ.

კაპიტალიზმის მარცხი

ნაუენი. 11 ივლისი (რადიო) გაზ. „იუმანიტეს“ აზრით, საკონტრიბუციო პოლიტიკის მარცხი არის იმავ დროს ევროპის კაპიტალიზმის მარცხი.

სოციალური რევოლიუცია

ნაუენი. 11 ივლისი (რადიო). გაზ. „ვიქტუარის“ აზრით, თუ მარკის კურსის დაცემა არ შეჩერდა, გერმანია ვერ აიცდენს სოციალურ რევოლიუციას.

შეინძრენ.

ბორდო. 11 ივლისი (რადიო). რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ მემარცხენეების წინადადებით მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც ტრიბუნალის შემადგენლობაში, ტრიბუნალის შვიდ წევრთაგან, მხოლოდ ორი იქნება პროფესიონალი მსაჯული.

ორპირობა.

ბორდო. 11 ივლ. (რადიო). პროფკავშირთა საერთაშორისო ბიურომ გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად რეაქციის წინააღმდეგ, გამოუშვა მოწოდება ყველა ქვეყნის მუშური ორგანიზაციების მიმართ და 18 ივნისს ამსტერდამში მოიწვია მე 2 და 2 ნახევარი ინტერნაციონალების კონფერენცია.

ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობა

მოსკოვი. 11 ივლისი (რადიო). ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის განახლებას გერმანიის პრესა უყურებს, რომ ერთ ნაბიჯს რუსეთის დასავლეთ ევროპასთან ეკონომიურად დასაახლოვებლად. პრესა აღნიშნავს, რომ ამ ბაზრობაზე ყველაზე უფრო უნდა გამოაშკარავდეს ციმბირის ჩქარის ტემპით წარმოებული ეკონომიური აღორძინება.

ირლანდიის ამბების შესახებ.

მოსკოვი. 11 ივლისი (რადიო). ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, დუბლინიდან 80 კილომეტრით მარცხნივ დაიწყო დიდი ბრძოლა. რესპუბლიკანურმა ჯარებმა დაიხიეს ქალაქ კლეიტონისაკენ.

ანატოლი ფრანსი და წმინდა ტახტი.

მოსკოვი. 11 ივლისი (რადიო). ვატიკანმა შეიტანა ანატოლი ფრანსის ნაწერები წმინდა ტახტისაგან აკრძალულ წიგნების რიცხვში.

საფრანგეთი

საფრანგეთის პალატებში.

ბორდო. 10 ივლისი (რადიო). გამოქვეყნდა დეკრეტი, რომლითაც დახურულია მიმდინარე სესია დეპუტატთა პალატისა და სენატისა. პალატის დახურვის წინ დადგენილ იქნა, რომ მთავრობას შეუძლია ისარგებლოს ამნისტიის უფლებით კიდევ ერთი წლის განმავლობაში. მიღებულ იქნა აგრეთვე კანონპროექტები საზღვაო არსენალის მუშების რიცხვის 4917 კაცით შემცირების და პასტერის ასი წლის დღესასწაულის აღსანიშნავად 2 მილიონი ფრანკის გადადების შესახებ.

მუშათა მოთხოვნილება.

ნაუენი. 10 ივლისი (რადიო). ვინაიდან ხშირია ზემოსილეზიის პოლონურ ნაწილში გერმანელ ოფიციალურ პირებზე თავდასხმა, ზემო სილეზიის ამ ნაწილის მუშებმა და კავშირებმა მიმართეს კენიგსხიუტში ვოევოდას თხოვნით აღმოუჩინოს მათ დახმარება ასეთი შემთხვევების მოსასპობად. ვოევოდამ აღუთქვა თავისი დახმარება და დაპირდა საჭიროების დროს იარაღის ხმარებასაც.

სიფილისის წამლობა.

ბორდო. 11 ივლისი (რადიო). დერმატოლოგების და სიფილიდოლოგების კონგრესზე პარიზში დამტკიცდა რომ მისმუთის მარილები სიფილისის წამლობის დროს იძლევა ჩინებულ შედეგებს.

საფრანგეთ-პოლონეთის კომერციული ხელშეკრულება.

პარიზი. გაზ „ტანში“ მოყვანილია ვარშავიდან მიღებული ცნობები: ფ. დოლეზალი, მრჩეველი პოლონეთის კომერციულ დელეგაციისა პარიზში, ჩავიდა საფრანგეთის სატახტო ქალაქში საფრანგეთის და პოლონეთის შორის კომერციულ კონვენციის რატიფიკაციის შესახებ მოსალაპარაკებლად.

პოლონეთმა უკვე დასდო ეკონომიური ხელშეკრულება რუმინიასთან, ჩეხო-სლოვაკიასთან, იტალიასთან და ნორვეგიასთან. გარდა ამისა პოლონეთი აწარმოებს მოლაპარაკებას ასეთივე ხელშეკრულების დადების შესახებ, იაპონიასთან, შვეიცარიასთან, ინგლისთან, შვეციასთან ავსტრიასთან, სამხრეთ სლავიასთან, ვენგრიასთან, ისპანიასთან, პორტუგალიასთან და შეერთებულ შტატებთან.

პოლონეთის ეკონომიური ურთიერთობა გერმანიასთან უთუოთ დაიწყება შემოდგომიდან.

დახმარება რუსეთს.

პარიზი. 28 ივნისი გაზ. „ჟურნალ და ორიანი“ იტყობინება, რომ ივლისის პირველ რიცხვებში რუსეთში უნდა გამგზავრებულიყო საფრანგეთის წითელ ჯვრის მისია გემი „კალიფორნიით“. რომელიც დატვირთულია 9.000 ტონი სხვა და სხვა სურსათით.

ზემო-სილეზიაში

ოპპელნის ევაკუაცია

ბორდო. 11 ივლისი (რადიო). ოპპელნიდან გავიდა მოკავშირეთა უკანასკნელი ბატალიონები.

ნაუენი. 11 ივლისი (რადიო). სამშაბათს გენერალ ლერანმა დასტოვა ოპპელნი. პოლონეთის ჯარები შევიდა ქალაქში ორშაბათს დილით. ბევრი რუსი კომუნისტი აცხადებს, რომ ზემო-სილეზიისათვის ეს ჩამოჭრილი ოლქი მაინც გერმანიის მხარეზე იქნებაო.

„უინციდენტოთ“.

ბორდო. 10 ივლისი (რადიო). ივნისის განმავლობაში ჯარების გადაყვანა სწარმოებდა უინციდენტოთ. მხოლოთ ოპოლნის მახლობლათ აუტეხეს სროლა ერთ მატარებელს, ხოლო ველიკი-სტერლიცის ახლოს სროლა აუტეხეს მეორე სამგზავრო მატარებელს. ბევრი მოგზაურთაგანი დაჭრილია. მათ შორის 1 ინგლისელი სერჟანტია, რომელიც ჭრილობათაგან გარდაიცვალა ოპპელნეში.

ირლანდია

დუბლინი

ბორდო. 10 ივლისი (რადიო). სეკვისტრიდი და ფორკორდი აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ნანგრევებს წარმოადგენენ.

სამხრეთ საგრაფოებში.

ბორდო. 10 ივლისი (რადიო). სამხრეთ საგრაფოებში კვლავ სწარმოებს სასტიკი ბრძოლა.

მოსკოვი. 11 ივლისი (რადიო) დევალერას უახლოესი ამხანაგი კატალბურკი, დუბლინის აჯანყებულთა მეთაური, გარდაიცვალა ჭრილობათაგან.

— დუბლინში აჯანყება საბოლოოდ ჩაქრობილია. ომის შედეგია ის, რომ ქალაქის ზოგიერთი ნაწილი დანგრეულია.

— დაპატიმრებულია ერთ-ერთი წევრი ირლანდიის დელეგაციისა, რომელმაც ხელი მოაწერა ინგლის ირლანდიის ხელშეკრულებას.

საზღვარგარეთში მყოფ რუს ჟურნალისტების შორის.

ბერლინი. „ალგემეინ, ცეიტუნგი“ იტყობინება. რუს ჟურნალისტების კავშირის სხდომაზე, რომელიც მოხდა ბერლინში გადაუწყვეტიათ გამორიცხონ კავშირიდან გაზეთ „ნაკანუნეს“ ყველა თანამშრომლები. ოფიციალურათ ეს ორგანო ითვლება დამოუკიდებლად, მაგრამ მას დახმარებას უწევს საბჭოთა მთავრობა. ეს ორგანო საბჭოთა მთავრობას სთვლის, როგორც შესაფერ მართვა გამგეობას რუსეთის ხალხისათვის: „ნაკანუნეს“ თანამშრომლების გამორიცხვის მიზეზია არა პოლიტიკური, არამედ „წმინდა ეთიკური“. კრებაზე დამსწრეების უმრავლესობა იმ შეხედულებას იზიარებდა, რომ ჟურნალისტების მხრივ დაუშვებელია ისეთი მთავრობის დაცვა, რომელიც უშვებს მხოლოდ კომუნისტურ გამოცემებს და მით ეწინააღმდეგება პრესის თავისუფლების პრინციპს.

რუსეთ-ჩეხო-სლავაკიის შეთანხმება.

ბერლინი. „ფორვერტი“ იტყობინება, რომ შეთანხმების მიხედვით, რომელიც დაედო რუსეთსა და ჩეხო-სლოვაკიის შორის, ეს უკანასკნელი სცნობს საბჭოთა მთავრობას, როგორც ერთად ერთს წარმომადგენლობას რუსეთის და უკრაინის და მოვალედ სთვლის თავის თავს გასცეს ყველა ორგანიზაციები და პირები, რომლებიც ეწევიან ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ორთავე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საურთიერთო ნეიტრალიტეტს, რომელიმე სახელმწიფოსთან კონფლიქტის დროს. ორთავე სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლები დებულობენ დიპლომატიურ მისიის უფლებებს.

რადიო დედა-მიწის გარშემო.

ნიუ-იორკი. 26 ივნისი (რადიო). გაზ. „ჟურნალ დ'ორიანს“ ცნობით მარკონიმ გაუზიარა ჟურნალისტებს თვისი გამოკვლევების შედეგი, რომელიც მან მოახდინა საუგემპტონიდან ნიუ-იორკში მოგზაურობის დროს.

მარკონი ამტკიცებს, რომ ამურიდან შეიძლება გადაცემულ იქნეს რადიო დედა-მიწის გარშემო, მაშინ როდესაც იგი აქამდის გადაიცემოდა მხოლოდ 12 000 მილის მანძილზე. მარკონის გამონაკარიშებით ასეთი რადიოს გადასაცემად საჭირო იქნება დიდი ხარჯები.

ანტიკომუნისტური კანონი ჩინეთში.

ბერლინი. გაზ. „ალგემაინე ცეიტუნგი“ იტყობინება; რომ პეკინის მთავრობამ გამოსცა კანონი, რომელიც მიმართულია ჩინეთში კომუნისტურ იდეების გავრცელების წინააღმდეგ ამ კანონის თანახმად, ის პირები, რომელნიც გაავრცელებენ მონარქისტულ და კომუნისტურ იდეებს, არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ, დაისჯებიან დაპატიმრებით 5—10 წლამდე.

ასეთი იდეების ცხოვრებაში გატარებისათვის და პარტიულ ორგანიზაციების შექმნისათვის დამნაშავე დაისჯება 15 წლის დაპატიმრებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კანონის უკანასკნელ მუხლს, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ეს კანონი ვრცელდება უცხოეთის ქვეშევრდომებზედაც.

აღმოსავლეთი

საბერძნეთი

ბორდო. 11 ივლისი (რადიო). ათინაში გაიმართა მეფის თავმჯდომარეობით სამხედრო საბჭოს სხდომა.

იტყობინებიან, რომ გამოცხადებული იქნება საბერძნეთში სამხედრო მდგომარეობა და მოხდენილი იქნება მობილიზაცია კონსტანტინოპოლის საწინააღმდეგო ოპერაციის დასამთავრებლათ.

ანტანტა და აღმოსავლეთი.

ბორდო. 11 ივლისი (რადიო) გაზ. „ტანის“ ცნობით ბრიტანეთის მთავრობა მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთში ზავის ჩამოსაგდებად. ამ რიგად შესაძლებელია ამ ახლო მომავალში საზავო კონფერენციის მოწვევა. ამ კონფერენციაზე მოკავშირე სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები შეხვდებიან ოსმალეთისა და საბერძნეთის დელეგატებს. მაგრამ ბრიტანეთის მთავრობის ზოგიერთი შენიშვნები აბრკოლებს საქმეს და განხილვის საგანი არის.

გერმანია და სპარსეთი.

ნაუენი. 10 ივლისი (რადიო). ამ დღეებში გამოვა გამბურგიდან გემი პეტროგრადის მიმართულებით, რომელიც გაივლის მარინაკის არხს, ვოლგას და კასპიის ზღვით მივა ენზელში რათა მოახდინოს სასინჯი რეისი. თუ ეს რეისი კარგად ჩატარდა, შემდეგ მოწყობილი იქნება რეგულიარული მისვლა მოსვლა.

საბერძნეთი და ოსმალეთი:

ბორდო. 10 ივლისი (რადიო). ჰავასის სააგენტოს ცნობით ინგლის-ფრანგეთის შორის უთანხმოება საბერძნეთ ოსმალეთის კონფლიქტის შესახებ, უკვე მოსპობილია. გადაწყდა უარი სთქვან პირობების აღსრულების მხარეებისათვის მოთხოვნილებაზე მანამდის, სანამ ისინი შეუდგებიან მოლაპარაკებას ზავის შესახებ.

ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობა.

ნაუენი. 10 ივლისი (რადიო). ოთხი წლის შეწყვეტის შემდეგ ნიჟნი-ნოვგოროდი ემზადება პირველ აგვისტოს ბაზრობის გახსნისათვის. მოელიან ციმბირიდან დიდძალი საქონლის ჩამოზიდვას.

დომბალის პროცესი.

მოსკოვი. 11 ივლისი (რადიო). კომუნისტ დეპუტატ დომბალს მიუსაჯეს 6 წლის კატორგა.

ხლივინსკის კაბინეტი.

მოსკოვი. 11 ივლისი (რადიო). **გაზეთ „რეჩ პოსპოლიტა“ იტყობინება, რომ პოლონეთის სეიმმა კენჭის ყრის დროს 201 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 195 ხმისა ხლივინსკის კაბინეტს უნდობლობა გამოუცხადა.**

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აბასთუმანი.

აბაზანები. აბასთუმანის კურორტის აბაზანები (Ваины), რომელიც საკურორტო განყოფილებამ გადაიყვანა სამეურნეო ანგარიშზე, ცოტ-ცოტაობით იწყებს აღდგენას. სწარმოებს საჭირო შეკეთება. ყოველდღიური საშუალო გადასახადი უდრის დაახლოებით 2 მილიონ მანეთს. სეზონის გახსნის შემდეგ განზრახულია ყოველდღიური შემოსავლის 10—15 მილიონ მანეთამდე აყვანა. აბაზანებით სარგებლობისათვის ფასები ძლიერ დაბალია 15-დან 25 ათას მანეთამდე სულზე. ტუბერკულიოზით ავადმყოფთათვის განყოფილება სავსებით განცალკევებულია იმ ადგილებიდან, რომელშიაც ჯანმრთელები მიიღებენ აქიმობას.

ახალქალაქის მაზრა

ნადირობა და თევზაობა. მაზრის ზოგიერთ ტბებში ბევრია მშვენიერი ღირსების კალმახი. წინედ ამ ტბებს სცემდენ იჯარით და მათ ექსპლოატაციას არ მოქონდა არავითარი ზიანი თევზის მრეწველობისათვის. ეხლა ყველანი, გამოუკლებლივ იჭერენ თევზს აკრძალვის დროსაც კი და გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს ფასიანი თევზი გაქრება ამ ტბებში. სულ სხვა მდგომარეობაშია ნადირობა. სანადირო ნივთების უქონლობამ უმთავრესად თოფის წამლის და ტყვიის, ხელი შეუწყო გარეულ ფრინველების საოცრად გამრავლებას, უმთავრესად იხვების, რომელნიც მთელი გროვებით დაფრინავენ ტბებზე.

შიმშილი. 1921 წლის ამბებმა და წლევანდელმა მოუსავლობამ დამღუპველად იმოქმედეს მაზრაზე. მკაცრი შიმშილი ჯერ არ არის, მაგრამ ზამთრიისთვის დამშეულთა ციფრს შეუძლიან მიაღწიოს 5—6000 კაცამდე.

აფხაზეთი.

პროსტიტუციასთან ბრძოლა. სოხუმში ზღვის განაპირა ადგილებიდან დიდძალი მეძავი ქალების ჩამოსვლის გამო, საქართველოს კომ. პარტიის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილება შუამდგომლობს არტელების და სახელოსნოების მოწყობის შესახებ და ატარებს ფართე აგიტაციას. განზრახულია მეძავ ქალების გასამართლების ინსცენიროვკა. ამ მუშაობაში ჩაიბმებიან პასუხისმგებელი ამხანაგები, რომელთაც განზრახული აქვთ წაკითხვა რამდენიმე ლექციების, მოხსენებების ცოცხალი გაზეთის და სხვა.

ბანდიტიზმთან ბრძოლაში. გუდაუთის მაზრაში ცნობილი ყაჩაღი მიხეილ არჩაბაძე, რომელმაც სახელი გაითქვა ომში, დღისით სისხლის სამართლის დამნაშავეთა საგამომძიებლოდან საგანგებო კომისიაში გადაყვანის დროს შეეცადა კონვოის განიარაღებას და გაქცევას მაგრამ მოკლულ იქნა.

ახალგაზდა კომკავშირი. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის საოლქო კომიტეტი ატარებს იაჩეიკების მიმაგრების და ახალგაზრდათა კომკავშირის მომარაგების კვირეულს.

სოხუმის ნავთსადგურში. სოხუმის ნავთსადგურში დაიწყო ბარგის სატვირთავ სადგურის შეკეთება.

ახალი ხაზი. 26 ივნისს გაიხსნა გემის მიმოსვლის ახალი ხაზი შავი და აზოვის ზღვის ოლქის, ნოვოროსიისკი—ბათომი, შუამდებარე პორტებში: ფოთში, ოჩემჩირში, სოხუმში, გუდაუთში, გაგრაში, ადლერში, სოჩაში და გელენჯიკში შესვლით.

პრესის განმტკიცება საქ. კომ. პარტიის საოლქო კომიტეტის სააგიტ. საპრ. განყოფილების კოლეგიამ აფხაზეთში გამოიმუშავა აფხაზეთის პრესის ფინანსიურად და ლიტერატურულად გამაგრების და რესპუბლიკაში მისი გავრცელების პრაქტიკულ ღონისძიებათა მთელი რიგი.

სომხეთი

ერევანი. 8 ივლისი (რადიო). **სასურსათო გადასახადის კამპანია.** სასურსათო გადასახადის კამპანია მაზრებში გაცხოველებით მიმდინარეობს ბასარგიჩარის, არაზდაიანის, კამარლინის, ვედიბასარის და კოტაის რაიონებში (ერევანის მაზრა) სასურსათო გადასახადის აკრეფა მთავრდება. ამ დღეებში იწყება ქალაქის ნათესების და ბაღების გადასახადის აკრეფა. ალექსანდროპოლის მაზრაში შესდგა სასურსათო გადასახადის უმცროს და უფროს ინსპექტორების კონფერენცია საუბნო სოფლის სასურსათო საბჭოების ყრილობებზე ირკვევა დეკრეტები და ინსტრუქციები. გლეხობა სასურსათო გადასახადს კარგათ უცქერის.

მოსავალი. ალექსანდროპოლის მაზრაში მოსავალი სამაზრო მასშტაბით საშუალოზე დიდია. პურის გაჭრა დაიწყება 20 დღის შემდეგ. ახალ-ბაიაზეთის მაზრაში მოსავალი საშუალოა. მიწადმოქმედების და სასურსათო სახალხო კომისარიატების ცნობებით, ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ახალ-ბაიაზეთის მოსავალი სცნო ერთი ორად, ლორის მაზრაში—ერთი სამად.

ბანდიტიზმთან ბრძოლა. ნახიჩევანის რესპუბლიკის ზანგეზურის და დარალაგეზის საზღვრებში ბანდიტიზმის აღმოფხვრის საკითხზე დადგენილია დაარსონ შერეული კომისია ადგილობრივი ამხანაგებიდან და კავკასიის ცალკე ლაშქრის წარმომადგენლებისაგან.

სამთო მუშების კონფერენცია. ალავერდიდან იუწყებიან, რომ გაიხსნა სომხეთის სამთო მუშების პირველი კონფერენცია.

ალექსანდროპოლი. ალექსანდროპოლიდან იუწყებიან რომ საამშენებლო მუშაობა ქალაქში თავდება.

ხოლერა. ალექსანდროპოლში ადგილი ქონდა რამდენიმე ხოლერით საეჭვო დაავადმყოფების შემთხვევას.

მავნეები. ალექსანდროპოლის მაზრაში მინდვრებში გაჩნდა თაგვები. მათ წინააღმდეგ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულ ზომებმა ბრწყინვალე შედეგები მოიტანა. თაგვები სავსებით მოისპო.

ბაზარზე. ალექსანდროპოლიდან იტყობინებიან, რომ ფასები პირველ მოთხოვნილების საგნებზე იქაურ ბაზარზე რამოდენიმეჯერ შემცირდა.

ნახიჩევანის რესპუბლიკა.

ერევანი. 10 ივლისი. **საუბარი ადერბეიჯანის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარესთან.** სომხეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან ბაასში, ნახიჩევანიდან დაბრუნებულმა ადერბეიჯანის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარემ აღამალიოღლიმ შემდეგი სთქვა: „ჩემი გამგზავრების მიზანი იყო ნახიჩევანის მხარის გაცნობა და ადგილობრივ გადაწყვეტა იმ საკითხებისა, რომელიც ეხებიან უბინადროებსა და საზღვრების მოწესრიგებას. ჩემის აზრით საჭიროა გავაძლიეროთ ამ მხარეში პოლიტიკური მუშაობა და გავაუმჯობესოთ სასკოლო აღმზრდელობითი საქმე, რომელიც ამ ჟამად რიგიანად ვერ არის მოწყობილი, მე შევძელი საჯარო გამოსვლებით გამეფანტა ის უაზრო პროვოკაციული ხმები, რომელსაც ავრცელებდენ ამ მხარეში ხსენებულ ოლქის ბედ-იღბალის შესახებ.

ერევანი. 10 ივლისი (რადიო). **მაზრებში.** სომხეთის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ამბარცუმიანი გაემგზავრა დელიჟანისა და იჯევანის მაზრებში, ამ მაზრების მდგომარეობის გასაცნობათ.

აღმასკომის სესია 20 ივლისისათვის დანიშნულია სომხეთის ცენტრალურ აღმასკომის სესია. დღის წესრიგში დანიშნულია შემდეგი საკითხები: დებულება სახალხო კომისარიატების შესახებ, დებულება სამაზრო და სათემო აღმასკომების შესახებ, დებულება მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ, დებულება სისხლის სამართლისა და პროცესუალური უფლების, პროკურატურის, ადვოკატურის, მიწის სარგებლობის ძირითადი კანონების და მიწის კომისიების შესახებ. პროექტი დეკრეტისა საკომლო გადასახადის შესახებ.

კავშირის აღდგენა. მთელ რესპუბლიკაში დაიწყო ძირითადი რემონტი ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულებისა. მთელ რიგ პუნქტებში აწყობენ ტელეფონსა და ტელეგრაფს.

მიწად მოქმედების კომისია. ერევნის სამაზრო აღმასკომთან დაარსებულ იქნა მიწათ-მოქმედების კომისია, რომელსაც დაევალა დეკრეტის მიხედვით მიწების განაწილება ერევნის მაზრაში. კომისიის მუშაობა უნდა დამთავრდეს 20 აგვისტოსათვის.

წვიმები. ჯელალ-ოღლიდან იტყობიან, რომ განუწყვეტელი წვიმები ძლიერ ცუდათ მოქმედებენ ნათესების მდგომარეობაზე. ჯელალ ოღლისა და ვორონცოვის რაიონში ხელმეორე სეტყვამ დააზიანა ნათესები.

ერევანი. 11 ივლისი. საკითხი უბინადრების შესახებ. გაიმართა შეერთებული თათბირი აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. აგამალი-ოღლის, აზერბეიჯანის აღმასკომის წევრი ისრაფიმ რაგიმოვის, სომხეთის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ამბარცუმიანის და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვუკაშინას და სხვ. მონაწილეობით. თათბირზე იხილებოდა საკითხი აზერბეიჯანის უბინადრების შესახებ, რომელნიც სარგებლობენ საძოვარი ადგილებით. დადგენილ იქნა მიენდოს სომხეთის მიწად-მოქმედების კომისარიატს სამი თვის განმავლობაში წარმოადგინოს დაწვრილებითი პროექტი, სადაც ნათლად იქნება აღნიშნული რიცხვი იმ საძოვარ ადგილებისა, რომლითაც სარგებლობდენ აზერბეიჯანის უბინადრები მეფის მთავრობის დროს, რათა განსაზღვრული ვადით იგი იჯარით მიეცეს აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკას. ამ პროექტში ნაჩვენები უნდა იყოს უბინადრების მიერ გასავალ გზებზე დასასვენებელი ადგილები და პუნქტები. ამ პროექტის დამუშავების შემდეგ მოწვეულ იქნეს აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასკომისა და სომხეთის ცენტრალურ აღმასკომის წარმომადგენელთა შერეული კომისია ამ პროექტის დეტალურად შესასწავლად და დასადასტურებლად. დაევალოს სომხეთის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ინსტრუქციის წესით წინადადება მისცეს ადგილობრივ სასურსათო გადასახადის ორგანოებს, უბინადრების გადასახადის მოგროვების დროს, ყოველგვარად შეეცადონ არ მოხდეს რაიმე უსიამოვნება ან კონფლიქტი უბინადროებთან.

აზერბაიჯანი

ნავთის ფრონტზე. ამოღებულია ყველა ადგილებში 2 ივლისს 486.000 ფუთ. გამოხდილია 3 ივლისს 326.000 ფუთი გამოხდიდან მიღებულია 323.000 ფ. გაწმენდილია 48.000 ფ. 3 ივლისს გატანილია ზღვით ბაქოდან ასტრახანში შავი ნავთის პროდუქტები 883,520 ფ., პეტროვსკიდან ასტრახანში გროზნოს პარაფინიანი ნავთი 97.281 ფუთი.

სამოქალაქო გადასახადი. 1 ივლისისათვის დამშეულთა სასარგებლოდ აზერბაიჯანში შეკრებილ საზოგადო სამოქალაქო გადასახადის ჯამი უდრის 28.383.353.000 მ.

წითელარმიის ყოფა ცხოვრების გაუმჯობესება. წითელ-არმიის მდგომარეობის გამაუმჯობესებელ კომისიამ მიიღო სამთამადნო მუშათა კავშირისაგან 393.456.350 მან. მკვებავთა კავშირისაგან 56 მილ. ტრანსპორტის მუშების კავშირისაგან 76 მილ., ფეიქართა კავშირისაგან 53 მილ. აჯერბაიჯანის კავშირისაგან 76 მილ., კულტურულ განათლების კომიტეტისაგან 145 მილ. ლენინის სახელობის მუშა ფაბრიკებისაგან 65 მილ. მან. და სხვ.

პარტიული მუშაობა. საქალაქო რაიონში შედგენილი 30 პოლიტიკური წრე შეუდგა მუშაობას. მუშაობა თათრებს შორის დამაკმაყოფილებლად სწარმოებს, მოქმედებს პოლიტიკური განათლების თათართა სკოლა. მოწყობილია თათრების საორგანიზაციო წრე. მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშაობა წყალზე მომუშავეთა შორის. მოწყობილია დახმარების 22 იაჩეიკა. კომიაჩეიკების უპარტიო სხდომებზე დამსწრეთა რიცხვი თვალსაჩინოდ გაიზარდა. მუშათა ცენტრალურ კლუბში ითვლება 900 წევრი. უმრავლესობა პარტიულია. იმართება საზაფხულო ექსკურსიები.

სამხედრო წვრთნა დამთავრდება 1 სექტემბერს. ძლიერდება მუშაობა ხიზინის რაიონში. ბევრ იაჩეიკებში მდივნებად არიან სასოფლო აღმასკომების მდივნები. წერა-კითხვის უცოდინარობა თანდათან ისპობა. რაიონული კომიტეტები, სააგიტაციო განყოფილებები აწარმოებენ სასურსათო გადასახადის კამპანიას, რომელიც იძლევა კარგ შედეგებს. საფაბრიკო-საქარხნო რაიონში მოეწყო დახმარების 6 იაჩეიკა, რომელიც ეწევა საორგანიზაციო მუშაობას. შემჩნეულია დახმარების იაჩეიკაში და პარტიაში უპარტიოთა მასიური ჩაწერა.

მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატში. აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულმა შტატების შემმოკლებელმა კომისიამ დაადგინა გაუქმებულ იქნეს 21 სააგრარო პუნქტი, რომელნიც არსებობდა მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატთან დატოვებულ იქნეს აგრარულ ბაზართან, სალიანში, მიუშკიურში და გეოკჩაის მაზრაში. დაშლილ იქნეს საქონლის მოდგმის მომშენებელი პუნქტები, გაუქმებულ იქნეს სამი სათესლე მეურნეობა.

ქრონიკა

◆ **ტრამვაიმ** მაისის განმავლობაში გადაიყვანა 856.762 კაცი, 5,771 მილიონი მანეთის ღირებულების და აგრეთვე გაყიდა 360 მილიონი მანეთის სააბონემენტო წიგნაკი. ყველაზე უფრო შემოსავლიანი იყო 23 მაისი, როდესაც გადაყვანილ იქნენ 31257 კაცი, ხოლო ფულად შემოვიდა კი 211.620 მან.

◆ **საქართველოს სამხედრო გზაზე.** თბილისში მიღებულ ცნობების თანახმად, ამ უკანასკნელი დროს მოსულ ნიაღვარის გამო საქართველოს სამხედრო გზაზე მოძრაობა შეჩერდა. თბილისიდან გასული ავტომობილები შაბათს, ორშაბათს დაბრუნდნენ უკან ანანურამდე მიუსვლელათ ფიქრობენ, რომ გზის გაწმენდა, შეკეთება და მოძრაობის აღდგენა შეიძლება არაუხალოვეს 7—8 დღისა.

◆ **ცენტრალურ დამზღვევ კასაში. კასის ანგარიში.** ივნისის განმავლობაში მთელი შემოსავალი გამოიხატა 2.227,250,478 მანეთით, რომელთაგან 263.042,478 მან. არის მაისის ნაშთი, ხოლო 1.964,208 ათასი მანეთი ივნისის შემოსავალი. ივნისში დახარჯულია დახმარებაზე: ავადმყოფობის გამო 377.655,850 მან., მონაწილეების ნათესავებზე 457.505,000 მან., მონაწილე ქალების ნათესავებზე 51.400 მან., მონაწილეების დასაკრძალავათ 54.750 ათასი მან., ოჯახის წევრების დასაკრძალავათ 33,500 ათ მ. ინვალიდების, სახიჩრების, ქვრივების და ობლების პენსიებისათვის—81 მილიონი 666,500 მან., პირადი შემადგენლობის შესანახად 113183 ათ. მ., სამეურნეო ხარჯებზე—31,093 ათ. მ., ავანსებზე—6,200 ათასი მ., პროვინციის განყოფილებებს—61,500 ათ. მ. შრომის სახალხო კომისარიატს სესხი—90 მილიონი და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—1,001,695 ათ. მ. სულ დახარჯულია 1,948,393 ათ. 850 მან. ნაშთი ივლისისათვის გამოიხატება—278,856,628 მანეთით.

◆ **სახალხო კავშირის ამბულატორია.** გამგეობამ მოიწონა შეთანხმება ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატთან ამბულატორიის სახ. კავშირისათვის გადაცემის შესახებ და დაადგინა სასწრაფოდ გაგზავნოს იქ ხოლერის სახადის საწინააღმდეგო ვაქცინები.

◆ **ს. ფაშალიშვილის საღამო.** შაბათს, 22 ივლისს, ყოფილ ქართულ კლუბის საზაფხულო დარბაზში გაიმართება პოეტ ს. ფაშალიშვილის სალიტერატურო-სამუსიკო საღამო ფართო პროგრამით. მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მწერლები, მუსიკოსები და სახელმწიფო ოპერის და დრამის მსახიობები.

◆ **ე. გელცერის და ვ. ტიხომიროვის გასტროლები.** ე. გელცერის და ვ. ტიხომიროვის ბალეტის მომავალ საღამოებზე პროგრამაში შესრულებული იქნება სოლო ბალეტიდან; „გედის ტბა“ „კონიოკ გორბუნოკ“ „მძინარე ქალწული“, და აგრეთვე რუსული მაზურკა და ლეკური.

◆ **ლისიციანის სტუდია.** ხუთშაბათს, 13 ივლისს ქართული კლუბის საზაფხულო თეატრში გაიმართება ს. ლისიციანის სტუდიის მოწაფეთა პლასტიკის საღამო,

◆ **მუშა ხელის მოძრაობა.** თბილისის შრომის ბირჟის მიერ 11 ივლისს გატარდა რეგისტრაციაში 532 მამაკაცი და 429 ქალი, ხოლო სულ 961 კაცი, ხელახლა გატარებულია რეგისტრაციაში 65 მამაკაცი და 28 ქალი უმუშევარი, მოთხოვნილება შემოვიდა 43 მუშა ხელზე, 35 მამაკაცზე და 8 ქალზე. დაინიშნა სამუშაოზე 46 კაცი,—38 მამაკაცი და 8 ქალი.

◆ **პრაქტიკული სროლა.** ქ. ტფილისის და მისი რაიონების გარნიზონისადმი ბრძანებით ცხადდება; რომ 14 ივლისს, დილის 7 საათიდან კუკიის სასაფლაოს რაიონში იწარმოებს პრაქტიკული სროლა ბომბის და ეალმის მფრქვეველებით.

◆ **უპატრონო ბავშთა 1 ლი საბჭოთა კოლექტორი.** 5 ივლისს გაიხსნა სახალხო განათლების კომისარიატთან უპატრონო ბავშვთა კოლექტორი. მოკლე ხნის განმავლობაში კოლექტორმა დახმარება გაუწია 100 ბავშვს. ამ ჟამად არის 50 ბავშვი. კოლექტორი ძალიან კარგად არის გაწყობილი: მაღალი, სუფთა საწოლი ოთახები, სუფთა საცვლები, რბილი ლეიბი, საიზოლიაციო ოთახი ავადმყოფთათვის და აბანო ოთახი. კოლექტორის გახსნაზე მოვიდენ სტუმრები, პედაგოგები და ხელმძღვანელები და სახ. განათლების კომისარის მოადგილე მ. ორახელაშვილი. ბავშთა წრის მიერ წარმოდგენილი იქნა პიესა „საუკეთესო საჩუქარი“, და შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი კოლექტორის ბავშვების მონაწილეობით. ბოლოს დადგმული იქნა ცოცხალი სურათი, და პატარა ბავშვმა კომუნარკაში წითელი დროშის ქვეშ წაიკითხა ლექსები.

◆ **მიხეილ კავსაძის სახ. სიმღერა-გალობის კურსები.** როგორც წინა წლეებში, ისე ამ ჟამადაც საზაფხულო თვეებში ყველი მუშა-მოსამსახურეებისათვის მოწყობილია სახალ. სიმღერა გალობის კურსები მიხეილ კავსაძის მიერ პროფ. კავშირების ბინაზედ (მუშათა სასახლე) მე 5-თე სართ. ოთახი № 100. ოთხშაბ. და პარასკევს, საღამოს 6 ნახევარ—8 საათამდე.

◆ **25 წლის უიბილე ალ. კავსაძისა.** სახალხო გუნდი [illegible] მომავალ ენკენისთვეში [illegible] გამართოს იუბილე სახ. მუსიკის მცოდნე და მოღვაწე—მომღერალს ალექსანდრე კავსაძის.

◆ **მიხეილ კავსაძის მომღ. გუნდის მოგზაურობა.** ახლო მომავალში სახ. გუნდი გაემგზავრება კონცერტების გასამართავად გორში, ქარელში, ხაშურში, სურამში, ბორჯომში და წაღვერში.

თეატრებში 13 ივლისს.

— საზაფხულო თეატრ არტოში: საღამო—სპექტაკლი.

— საქ. წითელ არმიის ცენ. კლუბის. საზაფხულო დარბაზში: ლისიცინის პლასტიკური სტუდიის საღამო.

— ცენტრ. მუშათა კლუბი: კონცერტი.

— თავისუფალ თეატრში: ებრაელთა ტრუპის სპექტაკლი.

—სომხეთის კლუბის თეატრში: ქონდრის კაცების სპექტაკლი.

— ახალ თეატრში (ც. რ. კ.): კინო.

— თეატრ არლიოკიში: „ლეტუჩაია მიშის“ მოსკოვის რეპერტუარის პროგრამა.

— თეატრ ამირანში: კონცერტ-კაბარე.

— პროფსაბჭოს კლუბში: კონცერტი.

— ცირკში: მრავალფეროვანი პროგრამა.

კინო თეატრებში.

— სოლეი—ში (ყოფ. სამხ. რევ. თეატრი): ჩარლ ჩაპლინის ოინები.

— ეთერში (სახ. ოპერის ბაღში): კინო—დრამა.

— არფასტოში: ღამის აჩრდილი.

— ვარსკვლავში (ყოფ. ალკრე): კინო—კომედია.

— ოაზისში: თეთრ კბილებიანი ნიღაბოსანი.

ზესტაფონი თუ ჭიათურა *)

„კომუნისტი“-ს მე 155 ნომერში მოთავსებულია ვინმე „პიერის“ წერილი ზესტაფონიდან ჭიათურაში ცენტრის გადატანის შესახებ ასეთ სათაურით: „შორაპნის მაზრის ცენტრი“. წერილის შინაარსი მოწმობს მხოლოდ იმას, რომ ავტორს არაფერი გაეგება არა მარტო პოლიტიკისა და ეკონომიკის, არამედ საქართველოს გეოგრაფიისაც კი. არც ერთი საბუთი ზესტაფონიდან ჭიათურაში ცენტრის გადატანის წინააღმდეგ! ასეთ დიდ საკითხს პიერი ერთის დაკვრით სჭრის: „ყვირილიდან ჭიათურაში ცენტრის გადატანა მოასწავებს არა მაზრის აყვავებას, არამედ მის მთლიანად დაღუპვას და დაქასაქსვას“ ო. მორჩა და გათავდა. სხვა რაღა საბუთები გნებავთ? მაგრამ არის მეორე „ძვირფასი დასკვნაც“, რომ ეს ამბავი (ცენტრის გადატანა) ხარაგოულებს და ყვირილელებს ძალიან ეწყინებათო. დიახ, არ გაეხარდებათ ყვირილელ ღვინის ვაჭრებს, იქიდან ცენტრის სხვაგან გადატანა, მაგრამ თუ ეს საბუთია პიერისათვის, არაფრის გზით პატივსადები არ არის მთავრობის მიერ.

განა საჩხერე-ჭიათურა, კორბოულ-ცხრილათს უხარიათ დღეს ზესტაფონში ცენტრის ყოფნა? ამ აღნუსხული რაიონებიდან, მცხოვრებთ თუ ესაჭიროებათ ზესტაფონში მოისაქმონ, დაეკარგებათ არა ნაკლებ ხუთი დღისა, ხოლო ხარაგოულ ზესტაფონელებს შეუძლიათ ჭიათურაში მოსაქმება ერთი დღის განმავლობაში (დილას წავლენ მატარებლით. შორაპნიდან ჭიათურამდის 2 ნახევარი საათის სამგზავროა, იქ მოისაქმებენ, საღამოზე დაბრუნდებიან უკან და იმ ღამესვე სახლში იქნებიან) ხარაგოულის ზოგიერთი რაიონი ჭიათურაზე იმდენათვეა დაშორებული რამდენადაც ზესტაფონიდან (მაგალ. ამაშუკეთი).

რაც შეეხება ჩხარის რაიონს, მისი ნახევარი ჭიათურაზე უფრო ახლოს არის, ვიდრე ზესტაფონზე; და თითონ ჩხარიც ჭიათურაზე და ზესტაფონზე თითქმის (განსხვავება 5—10 ვერსია) თანაბრათ არის დაშორებული; გზაც სრულიად ერთგვარი აქვს ორივე ქალაქებთან. ამის გასაგებად საჭიროა საქართველოს გეოგრაფიის ცოდნა.

მაგრამ განა მხოლოდ ეს არის ნაკლი პიერის წერილისა?

მაზრის ცენტრი არსებობს მაზრისათვის და არა მაზრა ცენტრისათვის. ის უნდა იყოს ისეთი ადგილას, საიდანაც ადვილია კავშირი ყველა რაინებთან და თანაც შეძლებისადაგვარად უნდა წარმოადგენდეს მაზრის გეოგრაფიულ ცენტრს. ასეთი ადგილია ჭიათურა; ის სრულიად ერთ რიგად არის დაშორებული მაზრის ყველა რაიონებს, ხარაგოულ ზესტაფონის მდგომარეობა კი მით განსხვავდება სხვა რაიონებისაგან, რომ ეს რაიონები რკინის გზით უერთდებიან ჭიათურას მაშინ, როცა სხვა რაიონებს კარგი საურმე გზაც კი არ აბადიათ.

მაშ სად არის აქ მოტივი „ყვირილელთა შეურაცხყოფისა“?

მაგრამ მთავრობა მარტო ამ მოსაზრებით კი არ ხელმძღვანელობს. ეს, გეოგრაფიული მოტივი, სხვა ყველ მოტივებზე უფრო უმნიშვნელოა.

ჭიათურა სამრეწველო-ეკონომიური ცენტრია არა მარტო შორაპნის მაზრისა, არამედ მთელი საქართველოსი.

კარგი მუშაობის დროს (1899 და 1907—8 წლებში იქ ითვლებოდა 90.000 მეტი მუშა,

ჯერ მუშაობა ფაქტიურად მხოლოდ იღვიძებს, მაგრამ დღესაც კი 2.000 მუშაზე მეტი ირიცხება. აუარებელი რიცხვი ურმებისა და ცხენებისა აქ მიდის შორაპნის მაზრის ქვემო რაიონებიდან მეტი, ვიდრე ზემო რაიონებიდან. ეს მუშები ჭიათურის მცხოვრები პროლეტარები კი არ გახლავთ, ამხ. პიერო. ისინი არიან გლეხები შორაპნის მაზრის ყველა რაიონებიდან. მაშასადამე ჭიათურა არა მარტო გეოგრაფიულად და ადმინისტრატიულად მოხერხებული ცენტრია, ის არის ეკონომიური ცენტრი შორაპნის მაზრის გლეხობისათვის, ხოლო ზესტაფონი არავითარ ეკონომიურ აუცილებლობით არ არის დაკავშირებული არც ერთ რაიონთან. ზესტაფონის სამაზრო ცენტრად აღიარება, წინა მთავრობათა ხელში, უნდა მიეწეროს იმას, რომ საქართველოს ადმინისტრატიული გადამიჯვნის დროს ძველათ დღევანდელ ქ. ჭიათურის ადგილზე ერთად ერთი წისქვილის მეტი არაფერი ყოფილა. დღეს კი ჭიათურა ქალაქია და ზესტაფონზე ათასჯერ უკეთ მოწყობილი: განათებით, ელსმენებით, წყალსადენით და სხვა კულტურული საშუალებებით.

გარდა ამისა ჭიათურა მუშათა ცენტრია, და საბჭოთა მთავრობისათვის ერთად ერთი მისაღები სამაზრო ცენტრია. საბჭოთა მთავრობა მუშურ-გლეხური მთავრობაა და მისი, დღევანდელ ზესტაფონში, ამ ღვინის ვაჭრების ქალაქში ყოფნა—სადაც არც ერთი მუშაც კი არ არის, პირდაპირ დანაშაულია რევოლიუციის წინაშე. ჩვენი პიერი კი ფიქრობს, რომ ჭიათურაში ცენტრის გადატანა ელისაბედ წერეთლის ოცნება არის. ასეთ საბუთს დემაგოგიის სული გაჰკრავს. ამხ. პიერი ტყვილად ჰფიქრობს, რომ ეს დიდი საკითხი ასე ადვილად წყდება.

ამ საკითხის გარშემო ბევრი თავი მუშაობდა და ყველა საბუთები ჭიათურის სასარგებლოდ ლაღადებს. იყო მეორე აზრიც კი: შორაპნის მაზრის ორ მაზრათ გაყოფა. მაგრამ გამართლება ამ აზრის, როგორც სრულიად მიუღებელის და ყოველგვარ სარგებლიან თვალსაზრისს მოკლებულის, შეუძლებელია.

მაშასადამე შორაპნის მაზრის ცენტრი ჭიათურა უნდა იყოს. ვის შეუძლიან ამ აზრის სასარგებლოთ მოყვანილ საბუთების დარღვევა?..

ზ. ტ—ძე.

---

*) სადისკუსიო

თბილისის ფინანსიური მდგომარეობა

(ამხ. ღლონტის მოხსენება თბილისის ალმასკომის პლენუმში)

ჩვენი მეურნეობის გაუმჯობესება ვერ გაგვახარებს და ვერ დაგვაკმაყოფილებს, თუ ეს გაუმჯობესება მიღწეული იქნება ძველი კაპიტალისტური მეურნეობის ჩარჩოებში და მიმართულებით.

პროლეტარული ფინანსიური პოლიტიკა ყოველთვის არის მწყობრი და პროგრესიული, ყველასათვის გასაგები და მარტივი. უბრალო დემოკრატიულ მოთხოვნილებას ფინანსიურ უფლების სფეროში წარმოადგენს ყველა საგადასახადო სახის სისტემატიური დაყვანა ერთიან, უფრო აშკარა და პირდაპირ სახეზე. „თუ ჩვენ გავიხსენებთ, ამბობს მომხსენებელი, რომ ფინანსიური მეურნეობა არის ამავე დროს საგადასახადო მეურნეობაც,—ჩვენი თვალსაზრისი ყველასათვის ცხადი გახდება: ჩვენ ვისწრაფვით ერთიან გადასახადების შემოღებისაკენ მოსახლეობის დამოუკიდებელ ჯგუფების პირდაპირი და აშკარა დაბეგვრის საფუძვლებზე“.

მაგრამ სწორედ ამ თვალსაზრისით ქალაქის დღევანდელი ფინანსიური მეურნეობა ვერ უძლებს კრიტიკას.

საიდან გამომდინარეობს ეს დაუკმაყოფილებლობა. ამ საკითხის გამორკვევად მომხსენებელი ჩამოთვლის იმ შემოსავალს, რომლითაც საზრდოობს ქალაქის ალმასკომი. გარდა შემოსავლისა წარმოებებიდან, არის არა ნაკლებ 25 ცოტად თუ ბევრად მსხვილ შემოსავლისა სხვა და სხვა წყაროებიდან, რომელნიც იყოფიან სამ მთავარ კატეგორიად: 1. გადასახადები უფრო სწორი და პირდაპირი აზრით, 2. ხარკი, 3. საიჯარო შემოსავალი. პირველ კატეგორიას ეკუთვნის შემოსავალი: სატრაქტირო, სავადმყოფოების, შეფასების, საფუთო, სანიტარული, ცხენების, ეტლების და სხ. მეორეს—შემოსავალი—ნონარიალური, სააუქციონო, წონის და სხ. მათ რიცხვში 20 პროც. გადარიცხვა ქალაქის სასარგებლოდ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებიდან, რომლებსაც კრეფს სახელმწიფო; და მესამე კატეგორიას—შემოსავალი დარაბებიდან, მუნიციპალიზაცია მოხდენილ სახლებიდან, ბუდკებიდან, სარეკლამო კედლებიდან და სხ.

ასეთი მდგომარეობა იქმნება სამრეწველო ელემენტების შემცირების, კაპიტალის მინიმალურ დაგროვების და სხვა მიზეზების წყალობით. ამ ობიექტიურ პირობების გამო გვიხდება დათმობებზე წასვლა, დროებით გადადება ფინანსიურ მეურნეობის საერთო გეგმისა. აი რატომ აქვთ „კარლიკური“ ხასიათი საგადასახადო განაკვეთების ყველა სახეს. ომამდე ყველა შემოსავლის 53 პროც. ქალაქს ჰქონდა სახლებიდან, შეფასების შემოსავლის სახით, ეხლა კი, დანგრეულ სახალხო მეურნეობის დროს, ქალაქი ვერ ღებულობს სახლთ-მფლობელებიდან 5 პროცენტსაც. ნორმალურ პირობებში დარაბების იჯარა მოგვცემდა 150 პროცენტით მეტს, ვინემ იძლევა ეხლა, მაგრამ არსებული განაკვეთებიც ეჩვენებათ გადამხდელებს მძიმედ და აუტანელად.

ამ გვარად გვიხდება კაპიტალის მინიატურული შეზღუდა, ვინაიდან არ არის მსხვილი კაპიტალი და არ არის მსხვილი საგადასახადო დაბეგვრა. ამ მდგომარეობამდე მიგვიყვანა ჩვენ ნგრევამ, რომელიც არის შედეგი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის და სამოქალაქო არევდარევის, მაგრამ ეკონომიურ ცხოვრების გაძლიერებისთანავე ჩვენ მივაღწევთ შემოსავლის წყაროების ინტეგრაციას და განთავისუფლდებით „კარლიკურ“ კაპიტალის უმნიშვნელო წყაროებიდან.

შეჩერდა რა ქალაქის მეურნეობის სინამდვილეზე, მომხსენებელი აღნიშნავს ქალაქის საერთო შემოსავლის ჯამის ზრდას 9,4 მილიარდ მანეთიდან იანვარში 25,7 მილიარდ მანეთამდე მაისში.

რომ დავყოთ მაისის ყველა შემოსავალი წმინდა ფინანსიურ ხასიათის შემოსავლად და შემოსავლად წარმოებებიდან, ჩვენ მივიღებთ მილიარდ მანეთებში შემდეგ სურათს:

1. ფინანსიური შემოსავალი:

უძრავ ქონებიდან	0,0
სავაჭრო სამრეწველო	2,62
ცხენების, ეტლების და სხვ.	0,18
ხარკები	0,95
ქალაქის მამულები და საიჯარო წყაროები	4,39
სავადმყოფო შემოსავალი	0,13
სამისამართო მაგიდა	0,83
სახლების რეგისტრაცია	0,16
უფრო წვრილი შემოსავალი	0,45
ნარჩენი	0,17
სულ	9,88

შემოსავალი წარმოებებიდან:

წყალსადენი	2,86
სასაკლაო	0,49
ტრამვაი	9,42
ელექტრონის	1,54
აბანოები	0,82
მომარაგების განყოფილება	0,48
ფუნიკულერი	0,12
საადგილ მამულო განყ.	0,09
სხვა და სხვა	0,14
სულ	15,96

საერთო შემოსავალი უდრის 25,84 მილიარდ მანეთს.

თვეების მიხედვით წმინდა ფინანსიური ხასიათის შემოსავალი შეადგენდა:

	მილიარდ მანეთებ.	პროც. საერ შემოსავლ.
იანვარი	5,9	59,5
თებერვალი	4,3	43,4
მარტი	8,1	51,9
აპრილი	6,8	37,9
მაისი	9,8	37,9

მიუხედავად ფინანსიურ შემოსავლის აბსოლიუტურ ზრდისა, ის მცირდება პროცენტულის მხრით საერთო შემოსავლის მიმართ. ეს მოვლენა მაჩვენებელია ქალაქის მეურნეობის ცხოვრების ჯანსაღ და ერთად ერთ სწორ მიმდინარეობის. თუ წინედ ქალაქი ცხოვრობდა უმთავრესად საგადასახადო შემოსავლიდან,—ეხლა სისტემატიურად მატულობს შემოსავალი წარმოებებიდან.

ეხლა წინ გვიდევს ოთხი დიდი წარმოებითი ამოცანა: ჰიდრავლიურ სადგურის აშენება ზემო ავჭალაში, კაპიტალური რემონტი და შეცვლა დანგრეულ წყალსადენის ძველი მანქანების ახლებით, სატრამვაიო რკინის-გზის ხაზის გაყვანა სადგურ ნავთლუღამდე და ბოლოს, მუშათა უბნის აშენება ქალაქის საუკეთესო განაპირაზე.

საჭიროა აღინიშნოს ერთი ფაქტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ცხოვრებაში. ესაა მუშათა საკითხი კოლექტიურ ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებით. ამ კოლექტიურ ხელშეკრულებებს ეხლა შეაქვთ არსებითი გაუმჯობესება მუშების და მოსამსახურეთა ცხოვრებაში. კომუნალურ განყოფილების მუშებს და მოსამსახურეებს ჯამაგირი მოემატათ ივნისში 64 პროც. აპრილ-მაისის განაკვეთებთან შედარებით, ე. ი. 4,6 მილიარდი მანეთიდან გაიზარდა 7,6 მილიარდ მანეთამდე. ეხლა მუშავდება კოლექტიური ხელშეკრულება ჯანმრთელობის განყოფილების, სახალხო განათლების განყოფილების და ალმასკომის ც. სამმართველოსათვის, რაც შეადგენს ჯამს არა ნაკლებ 7 მილიარდისა. დაახლოვებითი გამოანგარიშებით, კოლექტიური ხელშეკრულებები აკისრებენ ქალაქის ალმასკომს შტატების ხარჯს 15 მილიარდ მანეთამდე.

ამასთან დაკავშირებით საფინანსო განყოფილებამ უნდა გამონახოს შემოსავლის ახალი წყაროები; ასეთი წყაროები პირველ რიგში არის შეფასების განაკვეთები და საიჯარო ფასის ნორმალური გადიდება. ასეთ პირობებში საჭირო არ იქნება განაკვეთების გადიდება კომუნალურ სამსახურისათვის.

მაისში დახარჯულია მილიარდ მან.

		პროც. საერთო გასავ.
ალმასკომზე	0,9	3,9
შინაგან მმართველ.	1,0	3,4
სახ. განათლებაზე	3,0	10,4
ჯანმრთელობაზე	2,0	6,8
სტატისტიკაზე	0,1	0,4
კომუნალ. მეურ.	18,4	57,0
პროცენტები ვალ.	0,6	2,2
სხ. და სხ. გასავ.	3,5	15,9
სულ	29,5 მილ. მან.	

რო გადავშალოთ კომუნალურ მეურნეობის სურათი, ჩვენ მივიღებთ შემდეგ ციფრებს მილიარდ მანეთებში:

	შემოს.	გასავ.
წყალსადენი	2,9	4,0
სასაკლაო	0,4	0,8
ტრამვაი	9,4	6,8
ელექტროსადგურ.	1,5	3,2
აბანოები	0,9	0,8
ფუნიკულერი და სხ.	0,8	0,1
ალმშ.-სან. ტეხნ. განყ.	—	0,3
საად.-მამული განყ.	—	0,7
საბინაო განყ.	—	0,3
მომარაგების განყ.	—	0,3
ადმინისტრაცია	—	0,1
სულ	15,9	18,4

ამგვარად საერთო დეფიციტი კომუნალურ განყოფილებისა გამოიხატება 2,5 მილიარდ მანეთში.

სხვადასხვა დაწესებულებების ვალები 1 ივნისისათვის მილიარდ მანეთებში გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

	სამხ. დაწ.	სახ. დაწ.	სულ
წყალის	7,5	5,7	13,2
სინათლის	1,0	4,9	5,9
ბინების	21,6	?	21,6
	30,1	10,6	40,7

მარტო პიისისა სახელმწიფო დაწესებულებებს მმართებთ 1,7 მილიარდი მანეთი, ხოლო სამხედრო დაწესებულებებს—5,0 მილიარდი მ. ეს ვალი სულ იზრდება, მაისში კი ვალის ანგარიშში მიღებულია სახელმწიფო დაწესებულებებიდან მხოლოდ 800 მილიონ მანეთამდე, სამხედრო დაწესებულებებიდან—10 მილ. მან. მოკლე ვადიანი ვალდებულებები 22 წლისა და რ. ს. ფ. ს. რ. ნიშნებით, რაც უდრის 500 მილიონ მანეთს ქართულ ბონებით.

რაც შეეხება შემოსავალს ივნისში, ვფიქრობთ, რომ შემოვა წმინდა ფინანსიური შემოსავალი 12 მილიარდ მანეთამდე.

ზრდა აიხსნება კატეგორიებ გარერეშე გამოცხადებულ დარაბებზე განაკვეთების გადიდებით, რამაც უნდა მოგვცეს 4 მილიარდ მანეთამდე.

1 მილიარდ მანეთამდე ვფიქრობთ მივიღოთ სასავადმყოფო გადასახადიდან.

ცოტად თუ ბევრად უტყუარი ხარჯები ქალაქის ალმასკომის განყოფილებებსა და წარმოებებზე, ტრამვაის და აბანოების გამოკლებით, იძლევიან შემდეგ ციფრებს (მილიარდ მანეთებში):

ალმასკომს	0,6
სახალხო განათლებას	3,0
ქალ. ჯანმრთელობას	2,5
სტატისტიკას	0,2
წყალსადენს	0,8
ელექტრონის სადგურებს	0,5
ალმშ. სან. ტეხნ. განყ.	1,8
მიწის განყოფილებას	0,7
სასაკლაოს	0,1
საბინაო განყოფილება	0,2
მომარაგებას	0,3
ადმ. კომ. განყოფ.	0,1
სხვადასხვა	0,5
ვალის დასაფარავად	0,4
ჰიდრავლიკას	0,7.

სულ 14,3 მილიარდი მ.

ამ ნუსხაში არ არის მოთავსებული ვალის დაფარვა ს. მ. უ. ს. სათბობ მასალის განყოფილებისათვის, რომელსაც გადაუხადეთ ივნისში რუსული ნიშნებით 7,5 მილიარდი მან.

თავის მოხსენების ბოლოს ამხ. ღლონტმა წამოაყენა, როგორც საერთო პროექტი სამუშაოებისა, რომელნიც უნდა იქნან გატარებულნი ცხოვრებაში 1 ივლისიდან შემდეგი დებულებანი:

1. ცნობილ იქნას პრინციპიალურად სასურველად სამუშაო ხელფასზე განაკვეთების ვალიუტარიზაცია და მტკიცე ბიუჯეტის შედგენა.

2. ყველა საგადასახადო შემოსავალი გადაყვანილ იქმნას ომის წინანდელ ოქროს მანეთებზე.

3. დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნას შეფასების გადასახადი, მოეწყოს ამისათვის საფინანსო განყოფილებასთან სპეციალურად შემფასებელი მაგიდა, სახლის მშენებლობის ინტერესების დაცვით.

4. მექანიკური გადიდება 1 ივლისიდან საიჯარო განაკვეთებისა იმ დარაბებზე, რომლებზედაც სპეციალურმა კომისიამ არ გაავრცელა თავისი მუშაობა, 50 პროც. რაოდენობით.

5. გატარდეს ტვირთზიდვის გადასახადი ნატურალურად ქალ. თბილისის მოსაზღვრე სოფლებში და ფულით თვით ქალაქში, სპეციალურად საშუალებათა გასაძლიერებლად ზემო ავჭალაში ჰიდრო-ტეხნიკურ სადგურისათვის.

6. უნდა შეუდგეთ მოსამზადებელ მუშაობას შემოდგომისათვის სანიტარულ გადასახადის გასატარებლად.

7. პრაქტიკული გატარება ცხოვრებაში კომუნალურ სამსახურის გადახდის, სინათლის, ენერგიის, წყალის და ყველა სახის სადგომისა ყველა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებების, აგრეთვე სამხედრო ორგანიზაციების და სამხედრო მოსამსახურეების მიერ.

8. აკრძალვა ყველა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისათვის თვითნებურად ჩაერიონ ქალაქის მეურნეობის კომპეტენციაში. ქალაქის სადგომების კერძო პირებზე იჯარით გაცემის საქმეში, რაც ღებულობს ამ ბოლო დროს მასიურ ხასიათს.

9. ნამდვილი ზომების მიღება მოსამსახურეთა შტატის შესამცირებლად.

ამხ. ღლონტის მიერ წამოყენებული დებულებანი ალმასკომმა პრინციპიალურად მოიწონა.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

საზოგადოება „ჩემო“

(„ჩემო“ ს დირექტორ მოქ. თუმანოვთან საუბრიდან)

შავი ქვა საქართველოს სამრეწველო ცხოვრებაში და მის საგარეო ვაჭრობაში თამაშობს სავალიუტო საქონლის ისეთსავე როლს, როგორსაც აზერბეიჯანის ნავთი. რომ არ ვსთქვათ გადამეტებულად, საქართველოს არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა სახელმწიფოს საარსებო მოთხოვნილებანი, რომ არ ჰქონოდა შავი ქვა, და ამ უმთავრეს მადანის საგარეო ვაჭრობისათვის მიზან შეუწონლად გამოყენებას შეეძლო გამოეწვია მეტად მძიმე ფინანსიური მდგომარეობა.

ჭიათურის შავი ქვის საექსპორტო საზოგადოება დაარსდა 1919 წლის 12 ნოემბერს ჭიათურის რაიონის შავი ქვის სამრეწველო ფირმების ურთიერთობის საფუძვლებზე ქვეშევრდომობის და ეროვნობის განურჩევლად, ამავე დროს ამ საზოგადოებას მინიჭებული ჰქონდა სამონოპოლიო უფლება საქართველოს საზღვრებიდან შავი ქვის ყოველგვარ მადანის გატანისათვის. ეს უფლება დადასტურებულ იქნა ს. ს. ს. რესპუბლიკის რევკომის მიერ 1921 წლის 25 აპრილს. საზოგადოების წესდება დამტკიცებულ იქნა მიმდინარე წლის 3 ივნისს.

საზოგადოება „ჩემოს“ საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ მიანიჭა თავისი სამონოპოლიო უფლება საქართველოს საზღვრებიდან შავი ქვის მადანის გატანისათვის, ამავე დროს მას არ შეუძლია ეს უფლება გადასცეს სხვა პირებს და დაწესებულებებს, მაგრამ თვით სარგებლობს ამ უფლებით 20 წლის განმავლობაში.

საზოგადოებას ენიჭება უფლება შეიძინოს საკუთრება, გამართოს და იჯარით აიღოს საზოგადოების მიზნების მიხედვით: საწყობები, ნავთსადგურები, გახსნას კანტორები და სააგენტოები, საჭირო უძრავ-მოძრავი ქონების შეძენით, შეიძინოს საქართველოს საზღვრების გარეშეც თავის საჭიროებისათვის პირველ მოთხოვნილების მასალები და საგნები და იქონიოს შავი ქვის ტვირთების გადასაზიდავად საკუთარი სარკინიგზო შემადგენლობა და საკუთარი გემები.

საზოგადოების წევრებათ შეუძლიათ იყვნენ მხოლოდ შავი ქვის მრეწველთა ფირმები, რომელთაც აქვსთ თავისი საკუთარი მოწყობილი წარმოება.

საზოგადოებას აქვს განსაკუთრებული მიზანი: შავი ქვის საქართველოს საზღვრებიდან გატანა და მისი საზღვარ-გარეთ გაყიდვა. ამიტომ იგი არ ერევა თავის წევრთა შინაურ საქმეებში, რომელნიც აწარმოებენ თავის შინაურ სამრეწველო მუშაობას სრულებით დამოუკიდებლათ, თავისი წარმოების ან მისი ნაწილის გადაცემამდეც კი მესამე პირზე, მაგრამ ამასთან ამ მესამე პირზე გადადის გადამცემის ყველა უფლება-მოვალეობანი საზოგადოების მიმართ.

საზოგადოების ოპერაციები გამოიხატება ყველა იმ ფუნქციების შესრულებაში, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მარგანეცის გაგზავნასთან და მყიდველებისათვის მისთვის მინდობილ მარგანეცის ჩაბარებასთან, და აგრეთვე გატანის პირობების გაუმჯობესებასთან და შავი ქვის საზღვარ-გარეთულ ბაზარზე გაყიდვასთან; საზოგადოების ხარჯები იფარება საფუთო გადასახადის გადარიცხვიდან ნამდვილი გასავლებისათვის. იგი ვალდებულია გაიტანოს საზღვარ გარედ იმ მრეწველობისა და ფირმების მადანიც, რომელნიც არ ირიცხებიან მის წევრებათ იმავ საფუძვლებზე, როგორითაც საზოგადოების წევრები სარგებლობენ, თავის რიგის დროს, რასაც კონტროლს უწევს მთავრობა, მაგრამ იმ პირობით, რომ საექსპორტო მოგებიბიდან, რომელიც შეეკუთვნება ამ გარეშე მარგანეცს 35 პროც. მიეცეს ხაზინას, 15 პროც.—„ჩემო“-ს, ხოლო დანარჩენი 50 პროც. კი ეძლევა მეპატრონეს.

იმ საექსპორტო მოგებიდან, რომელსაც იღებს საზოგადოება თვითეული გაგზავნის დროს, 35 პროც მიდის ხაზინის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი 65 პროც. ეძლევა მარგანეცის მეპატრონეს. ამავე დროს, როგორც კი საზოგადოების მიერ მიღებული იქნება ფული მის მიერ გაყიდული და დატვირთული მარგანეცისა, 35 პროცენტი დაუყონებლივ ეძლევა მთავრობას, ხოლო მეპატრონეს კი—80 პროცენტი, დანარჩენი 20 პროცენტი კი ინახება საზოგადოების კასაში. მთავრობა გარდა ზემო-აღნიშნული საექსპორტო მოგებაში მონაწილეობისა, საზოგადოებისათვის, მარგანეცის გადატანის მონოპოლიის მიცემისათვის იღებს „შავქვის რესპუბლიკის საზღვრებში გატანის დროს, 2 შილინგს თვითეულ ინგლისურ ტონზე და 4 შილინგს თვითეულ გატანილ „პეროვსკიდის“ ინგლისურ ტონზე.

საზოგადოების საქმეებს განაგებს: საზოგადო კრება წევრებისა, საზოგადოების საბჭო და დირექცია. გარდა ამისა მთავრობა დაინტერესებულია მარგანეცის ექსპორტის გაუმჯობესებაში და ამიტომ ყავს საზოგადოებაში თავისი წარმომადგენელი სათათბირო ხმით, რომელიც თვალყურს ადევნებს საზოგადოების ოპერაციებს. გარდა ამისა მთავრობა იტოვებს უფლებას თავისი აგენტების საშვალებით აწარმოოს საზოგადოების საქმეებისა და ანგარიშების კონტროლი.

ვ. ვ.

მუშათა ცხოვრება

სამუშაო დროს შესახებ.

(კითხვა—პასუხი).

კითხვა: რა ითვლება ნორმალურ სამუშაო დღეთ?

პასუხი: ნორმალურ სამუშაო დღეთ ფიზიკურ მომუშავეთათვის ითვლება 8 საათი დღით ან 7—ღამით, მოწაფეთათვის 6 დღით და ღამით ყოველი 45 წუთი ერთ საათად. (ღამის დროთ ითვლება 9 საათიდან დილის 6 საათამდეს).

კითხვა: როცა მუშაობა წარმოებს, როგორც დღისით, ისე ღამით და დღისა და ღამის საათები არეულია ერთმანეთში?

პასუხი: ყოველი 45 წუთი ღამის მუშაობის ჩაითვლება ერთ საათად.

კითხვა: იქ, სადაც კანტორის მუშაობა დაკავშირებულია ფიზიკურ მუშაობასთან, მაგალითად, ქარხნებში, როგორ განისაზღვრება გონებრივად მომუშავეთათვის სამუშაო დრო?

პასუხი: 8 საათი დღით და 7 ღამით.

კითხვა: მაშასადამე მათ უნდა მიეცესთ ჯილდო ამ ზედმეტ საათების მუშაობაში?

პასუხი: ზედმეტი ჯილდო მას ამაში არ მიეცემათ, ვინაიდან ეს ითვლება მათთვის ნორმალურ სამუშაო დროთ, მხოლოდ ისინი მიიღებენ სამუშაო ხელფასს გადიდებულ ტარიფის მიხედვით.

კითხვა: როგორ განისაზღვროს სამუშაო დრო ისეთ კატეგორიის მომუშავეთათვის, როგორც მაგალითად დარაჯი, ქუჩერი, დროგამუშვებით ლოკომოტზე მომუშავენი და სხვა, შეუძლებელია მათთვის გაისაზღვროს მუშაობის დაწყების და გათავების.

პასუხი: ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ განვსაზღვროთ, რომ მუშაობის შეწყვეტა დღეში იქნეს არა უმეტეს ორი გზობისა, ხოლო სამუშაო დღის რაოდენობა თავის გახანგრძლივობაში არ უნდა აღემატებოდეს თვიურ ნორმალურ საათების საერთო რაოდენობას.

კითხვა: სავალდებულოა თუ არა დასვენება მუშაობის დროს?

პასუხი: არ უგვიანეს 4—5 საათისა მუშაობის დაწყებიდან უნდა ხდებოდეს რეგულიალური დასვენება არა ნაკლებ ნახევარი საათისა და არა უმეტეს 2 საათისა. დასასვენებელი დრო სამუშაო დროში არ შედის.

კითხვა: როცა წარმოების ხასიათი მოითხოვს ნორმალურ მუშაობაზე მეტ დროს?

პასუხი: უნდა მოწვეულნი იქნენ ორი ან მეტი ჯგუფი (მორიგეობა) მომუშავეთა.

კითხვა: ნარდი მუშაობის დროს როცა ყოველივე ზედმეტი გაკეთებული საქმე მომუშავეს სამუშაო ხელფას უზრდის, საჭიროა თუ არა განსაზღვრა სამუშაო დროისა.

პასუხი: არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვებული იქნას ნორმალური სამუშაო დროს გადიდება. ნარდი მუშაობაც ნორმალურ დროს უნდა წარმოებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის აქონიებს უარყოფითი ხასიათს, ვინაიდან ზედმეტი მუშაობა ღალავს მომუშავეს და ბოლოს და ბოლოს ის უფრო ნაკლებს გააკეთებს ვიდრე ნორმალურ დროს. დამტკიცებულია, რომ 8 საათის მუშაობა უფრო ნაყოფიერია ვიდრე 10, 13 და სხვა.

კითხვა: თუ სამუშაო დროს განსაზღვრა ჯანმრთელობის თვალსაზრისით არის შემოღებული, რატომ არ იღება მხედველობაში მუშაობის პირობები, მისი შედარებითი ზიანობა ადამიანის ორგანიზმისათვის და სხვა და სხვა წარმოებაში მათი ზიანობის მიხედვით რატომ სხვა და სხვა სამუშაო დრო არის.

პასუხი: ჯანმრთელობისათვის საზიანო წარმოებებში სამუშაო დღე ნაკლებია ვიდრე ნორმალური. მაგალითად ბევრი წარმოება არის, სადაც სამუშაო დღე 7 საათია, ზოგან ნაკლებიც. ყოველ კერძო შემთხვევაში შრომის კომისარიატი სპეციალური გამოკვლევის შემდეგ ამცირებს სამუშაო დროს შრომის საზიანო პირობების მიხედვით.

კითხვა: შეხვდებით ასეთ შემთხვევას, როცა თვით მომუშავენი აცხადებენ სურვილს ნორმალურ დროზე მეტი იმუშაონ, დასაშვებია თუ არა ეს?

პასუხი: ეს გამოწვეული მათი გაუგებრობით და არ ცოდნით. მათი სურვილის განცხადება საკმარისი არ არის. ნორმალურ სამუშაო დროს არ დაარღვევიებენ. ასეთი შემთხვევები არის წვრილ წარმოებაში, (სავაჭრო დაწესებულებაში) სადაც ზედმეტ მუშაობას, მომუშავის „სურვილს“ აწერენ. ყოველგვარ ნორმალურ სამუშაო დროის დარღვევისათვის პასუხს აგებს დამქირავებელი და მას ვერ უშველის დაქირავებულის „სურვილი“.

კითხვა: სამუშაო დროს ანგარიშში, რა ჩაითვლება მუშაობათ?

მაგალითად მუშაობისათვის მომზადება, ცდა საქმის მიღებისათვის და სხვა?

პასუხი: მას შემდეგ, როცა მუშა ან მოსამსახურე სამუშაო ადგილზე მივიდა, ყოველივე გაცდენა ან საქმის მიღებისათვის ცდა, თუ ამის მიზეზი არ არის თვით მომუშავე, აგრეთვე ყოველგვარი მომზადება ჩაითვლება მუშაობათ და უნდა ჩაირიცხოს სამუშაო დროის რაოდენობაში. მაგალითად: ცეცხლის მქრობელი უცდის ნიშანს ცეცხლის დაქრობისათვის წასასვლელად, ეს ცდა და ტყუილა ჯდომა სამუშაო დროში შედის. კარებთან დარაჯი, ზის და უცდის შემომსვლელს, კაფეში, რესტორანში მიმტანი მოსამსახურე უცდის მუშტარს —ყველა ეს მუშაობაა.

კითხვა: მცირე წლოვანებისთვის და მოზარდებისათვის სამუშაო დრო იმდენია, რამდენიც დიდებისათვის?

პასუხი: უფრო მცირე. დაწვრილებით ამაზე შემდეგ.

ხ. გ—ძე.

სალიკვიდაციოს მიუღებლობა

ამას წინათ დაიხურა კაფე—რესტორანი „მეფისტო“. მის ზოგიერთ მოსამსახურეთ არ მიუღიათ სალიკვიდაციო. მოსამსახურეებმა უჩივლეს და ქონება დაუკავეს. ქონება სხვისი აღმოჩნდა შემდეგი სალიკვიდაციო ანგარიშში დალუქს პიანინო. რალაც მანიპაციებით მასაც ახსნეს ლუქი. „მეფისტოს“ მეპატრონეები მდიდარი და შეძლებული სპეკულიანტებია. საჭიროა თავის საკუთარ სახლის ქონებით მისცენ მოსამსახურეთ სალიკვიდაციო. წინააღმდეგ შემთხვევაში დააკავონ ეს ვაჟბატონები, რათა ყველამ გაიგოს, რომ შრომის კანონების შესრულება ყველასათვის სავალდებულოა.

უმუშევარი.

მუშკოპის საყურადღებოთ

გადმოგვცემენ, რომ მუშკოპში მოსამსახურე გიგიეკორის ქალს, რომელსაც ოთხი შვილი ყავს სარჩენათ სამსახურიდან ითხოვენ. ამ ქალს ბრალათ სდებენ: შენმა შვილმა რალაც მოიტაცაო. შვილმა თუ დანაშაულობა ჩაიდინა, დედა და 3 სხვა შვილი რა დამნაშავეა. დანაშაულობას საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ამ სახით არ ებრძვიან. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეოდეს ვისგანაც ჯერ არს.

კორესპონდენტი.

ყინვის ქარხანა

მთლიან მუშათა კოოპერატივს კირკის ქუჩაზე ჰქონდა ყინვის დამამზადებელი ქარხანა, მაგრამ გაუგებარ მიზეზებით ეს ქარხანა დღემდი უქმათ იყო. ამ ათი დღის წინათ ქარხანა გასცეს იჯარით. მოიჯარადრეებმა ნევიარსკიმ და ზუსმანმა უკვე აამუშავეს ქარხანა. აქ მუშაობს სულ 5 მუშა. საზოგადოთ ასეთ ქარხანაში დიდი სინოტივეა, რადგანაც ყინვის წყალი ხშირათ იღვრება იატაკზე. აქ ამას ზედ ემატება ტეხნიკურ და შრომის დაცვის კანონების დარღვევა. მოსამსახურეებმა ამის შესახებ უკვე მისცეს წინადადება მოიჯარადრეებს. ასევე შენიშვნა მისცა მოიჯარადრეებს შრომის ინსპექტორმაც.

მუშა.

საფაროვის თუთუნის ფაბრიკა

საფაროვის თუთუნის ფაბრიკასთან არ არსებობს სასადილო ოთახი, რაც მეტად უხერხულ მდგომარეობას ქმნის ამ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისათვის. დღეს მუშები შესვენების დროს ქუჩაში საუზმობენ. ავდრიან დღეებსა და ზამთარში კი ეს შეუძლებელია. შრომის ინსპექციამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია. ამ ყურადღებას ის მოყვა შედეგათ რომ სასადილოსათვის ფაბრიკასთან ააგეს შენობა. ეს შენობა სხვა საჭიროებისათვის მოიხმარეს და მუშები კვლავ სასადილო ოთახს მოკლებული დარჩნ. ჩვენი შენობა ჩვენვე უნდა მოგვეცეს და სხვა საჭიროებას სხვაგან მოუნახონ ბინა.

ხ. ტ.

სახ. განათლების კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრებიდან

თუმცა ზედმეტი სამუშაოები მიუღებელია, ვინაიდან უმუშევრები მრავლათაა, მაგრამ ამ კომისარიატის ფინანსიურ განყოფილების მომუშავეთ მაინც მისცეს ასეთი სამუშაო. ამ განყოფილების მოსამსახურენი აგერ ერთი თვეა საღამოობით მუშაობენ. საერთოდ ამ კომისარიატის მოსამსახურენი ახალ ტარიფით იღებენ გასამრჯელოს: მაგრამ ამ ზედმეტ სამუშაოზე, საღამოობით მუშაობაში მოსამსახურეებს უარს ეუბნებიან ახალ ტარიფით ანგარიშის გასწორებაზე. ეს კოლექტიურ ხელშეკრულებაში არ არისო. ახირებულთა სწორეთ. კოლექტიურ ხელშეკრულებაში არც საღამოობით მუშაობაა, მაგრამ მუშაობა კი სწარმოებდა. ესეც არ იყვეს, იქ არც ისაა აღნიშნული, რომ თუ იქმნა საღამოობით მუშაობა, მათ გასამრჯელო ძველი ტარიფით მიეცესო. ცხადია ზედმეტი სამუშაო ძირითად მუშაობის ნორმით უნდა დაფასდეს. ასე გადასწყვიტეს შრომის დაცვის ორგანოებმა და კავშირმა ეს საკითხი. სასურველია კომისარიატის ადმინისტრაცია ჯიუტობას თავს დაანებებდეს.

კ—ი.

ტრამვაის მოძრაობას კიდევ ზედმეტი ყურადღება

როდესაც თითქმის ყველა ვაგონი ყოფილა—რამდენჯერმე შეკეთებაში, ეს იმას ნიშნავს რომ ჩვენ ისე არ უნდა დავტვირთოთ ვაგონი, როგორადაც წინათ ვტვირთავდით. მე ვამჩნევ რომ გარდა მგზავრებისა ზოგიერთ მოვაჭრეებს ორი და სამი ფუთი ტვირთი თავისუფლათ გარდააქვთ და გადმოაქვთ ბაზრიდან ბაზრამდი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ვაგონის იაკორებზე. ამას თვით სადგურშიაც ხშირათ შევხვედრივარ, მეტადრე ბაზარი როიწყობა და როთავდება დეზერტირების ბაზარზე. მოვაჭრეები მეტი წილი ცხოვრობენ სიონის საყდრისაკენ მეტადრე ებრაელები. 1922 წელსა 25 თიბათვეს დილის 7 საათზე მოვდიოდი 3 ნომრით; როდესაც ვარანცოვს გავცდით მაშინ დაუკვირდი, რომ საჯდომების ქვეშ ადგილი ტვირთით სავსე იყო. კონდუქტორს ყურში ჩუმათ ვუთხარი. მანაც იმ წუთშივე გააჩერებინა ვაგონი და ჩამოუყარა. მეც მოვიხედე და ვნახე 6 შეკვრა, თითო არანაკლებ 2 ფუთისა იქნებოდა. სასურველია, რომ ამნაირი ტვირთის გადატან-გადმოტანა ტრამვაის ვაგონებზე სასტიკათ აიკრძალოს.

ც. ხ. ელექტრიკი.

ეკონომიური ბიულეტენი

12 ივლისი, 1022 წ.

თბილისის ბირჟა.

თბილისი, 12 ივლისი. თბილისის სავალიუტო სავაჭრო ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი 11 ივლისს 1922 წ. ოქროს 10 მანეთიანი—1.000.000 მან. ოსმალური ქაღალდის ლირა—145.000 მან. გირვანქა სტერლინგი —950,000 მან. დოლარი—225000 მან.

ბაქოს ბირჟა.

ბაქო. 7 ივლისი. ბაქოს ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი 6 ივლისს. დოლარი—5000000 მან. გირვანქა სტერლინგი 23.000.000 მანეთი ფრანგული ფრანკი—475000 მან. იტალიური ლირა—250000 მან. ოსმალური ლირა—3700000 მან. გერმანული მარკა—14500 მან. რუსეთის ჩვეულებრივი—96. 1922 წ. შემცირ. 100 ათას მანეთამდე—96. 1922 წ. შემცირებ. 100 ათას მანეთზე მეტად —95. 10 მილიონიანი ვალდებ.—95. შემცირ. 5000—10000 მან.—94. ქართული ბონები—2300 მან. რომანოვისეულ 500 მანეთ.—1100000 მან. კერენსკის 1000 მანეთიანი 350000 მან. ოქროს 10 მანეთიანი—24800000 მან. ოსმალური ოქროს ლირა—19500000მ. ოქროს ნატეხი 56 სინჯ.—5000000 მან. თუმანი—3500000 მან. ვერცხლის მანეთიანი—1200000 მან. წვრილი ვერცხლის ფული 1 მანეთის—500000 მან. განწყობილება დილიდან მტკიცე იყო, საღამოს სუსტი.

პარიზის ბირჟა.

პარიზი 12 ივლისი, რადიო. გადახურდავება 11 ივლისისათვის: ლონდონი 54,91. ნიუ იორკი—12,37. გერმანია—2,55. ბელგია—95,70. ისპანია —192,50 გოლანდია—477,75. იტალია—53,10. შვეიცარია—236,75. ვენა—0,05. რენტა—3 პროც.—57,65 —4 პროც.—1918 წ.—60,40. 1919 წ. ნაციონალური კრედიტი—468,50. ინდო ჩინეთის ბანკი—2673. ოტომანის თამბაქო—357. ოტომანის ბანკი —720. ჩინეთის 1913 წ. 5 პროც.

საქართველოს

სესხი—792. კურსი ტოკიო—მარსელი 11 ივლისს; ბრინჯი—72,50. ჰავრი 11 ივლისს: ბამბა ივლისში—365. აგვისტოსთვის—368. სექტემბრისთვის—370.

ნიუ იორკი 10 ივლისი. ვერცხლი—70 3|4. გადაგზავნა—4,4412 ნახევარი.

პარიზი 11 ივნისი. შაქარი—184-189. ჰავრი, ყავა ივლისში—194. აგვისტოსთვის—190. სექტემბრისთვის—197,75. ლონდონი კრეპი—75|8.

ბათომის ბირჟა.

ბათომი 11 ივლისი. უცხო ვალიუტის კურსი ბათომში. 10 ივლისს: გირვანქა სტერლინგი—965,000. ფრანგული ფრანკი—18000. იტალიური ლირა—10000. ოსმალური ქაღალდის ლირა—142000. დოლარი—212000. ოქროს 10 მანეთიანი—990000. ოქროს ლირა 825000.

თესვის კომიტეტების ყრილობა

თელავის მაზრა.

თავის მოხსენებაში თელავის მაზრის თესვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა სტატბიუროს ცნობების მიხედვით, რომ თელავის მაზრაში გამოსადეგი მიწების სივრცე უდრის 35,000 დესეტინას, მაგრამ ეს ციფრი ადვილად შესაძლებელია, გადამეტებულია 10,000 დესეტინით. თელავის მაზრა არის მევენახეობის რაიონი. უკანასკნელ წლებში ეს კულტურა მნიშვნელოვანად შემცირდა და ამის მიზეზად ითვლება: ფილოქსერა, გოგირდის, შაბიამანის, მუშა ხელის გაძვირება და განსაკუთრებით რუსეთის პურის მოტანის შემცირება. გლეხები იძულებულნი იყვნენ, რომ გამოეკვებათ თავისი ოჯახები, ვენახების ბაღები დაეთესათ ხორბლეულით. მევენახეობა 1914 წელში გავრცელებული იყო 8,000 დესეტინაზე, ამ ჟამად კი მხოლოდ 5,600 დესეტ.

მინდვრების თესვა გამალებით სწარმოებდა შემოდგომიდან გაზაფხულამდე. პრაქტიკამ ნათელი გახადა, რომ თელავის მაზრაში არავითარი განსხვავება დროის მიხედვით აპრილის და საგაზაფხულო ნათესებს შორის არ არსებობს. გლეხებმა დათესეს მთელი ხორბალი რაოდენობა, რაც მათ გააჩნდათ, ისე რომ ბევრ მათგანს აღარ დარჩა საჭმელი ხორბალი.

ამით აიხსნება, რომ სასურსათო გადასახადი უმნიშვნელო რაოდენობით შეიკრიბა. ამინდი ყოველთვის უწყობდა ხელს ნათესებს. და გლეხებიც ცდილობდენ გაედიდებიათ დათესილ მიწების სივრცე. იღებდენ ახოებს ალაზნის მიდამოებში, ხნავდენ ტყის მინდვრებს, საბალახოებს, სთესავდენ აგრეთვე მთის საძოვრებს და მინდვრებს, პურის დასათესათ ბევრი მათგანი სთხრიდა ვენახებს, და იყო შემთხვევები, როდესაც კარგ ვენახშიაც თოხით სთესავდნენ ხორბალს. ამგვარად გლეხებმა დასთესეს გამოსადეგარ მიწების 100 პროცენტი—და გამოსადეგარ მიწების დიდი რაოდენობა, რომელიც ჯერ კიდევ აღრიცხულიც არ არის. მთელ დათესილ მიწებიდან ცენტრალურ თესვის კომისიის მიერ დათესილია 40,128 დესეტინა—ხოლო დანარჩენი თვით გლეხობის მიერ იქნა დათესილი. ცენტრალურ თესვის კომისიისაგან მიღებულია სულ 4,642 ფ. და 35 გირ. ხორბალი, რომლიდანაც დარიგებულია გაზაფხულზე 2,626 ფ. ხორბალი. დანარჩენი გადაცვლილ იქნა სიმინდზე ორწყვით.

სიმინდი მიღებულია სულ და დათესილია 1,021 ფ. და 20 გ. დარიგდა 9,203 ფ. მაზრაში იქნა დათესილი საცდელი მინდვრები ავსტრალიის ხორბლით და ჯეჯილი ჩინებული ამოვიდა.

ფშავეთის რაიონში მოსავალი უკვე მოწეულია, 2 დესეტინიდან მიიღეს 70 ფ. მარცვალი.

გლეხები ითხოვენ მომავალ თესვისათვის ავსტრალიის ხორბალს.

დარჩენილ ხორბლიდან, რომელიც მიღებულია თესვის ცენტრალურ კომისიისაგან ადგილობრივ დამშეულთა დამხმარე კომიტეტს გადაეცა 365 ფუთი.

სიღნაღის მაზრაში.

დათესილ მიწების ასე მნიშვნელოვანად გაიზარდა. 1921 წელში იყო დათესილი 36.000-დე ხოლო წელს 51.000 დეს. ამ მიწებიდან ცენტრალურ თესვის კომისიის მიერ დათესილია 11.000 დეს., დანარჩენი გლეხების მიერ.

გორის მაზრა.

გაზაფხულის დასაწყისშივე თესვის კომიტეტს მოდიოდა თხოვნები რაიონებიდან მათთვის სათესლე მასალის ხორბალის, სიმინდის და ქერის მიწოდების შესახებ. საჭირო იყო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 36.000 ფ. ხოლო მიღებით კი მიღებულ იქნა 7,934 ფუთი ხორბალი, 3,438 ფუთი ქერი, 21,522 ფუთი სიმინდი და 10 ფუთი ლობიო. აქედან დარიგებულ იქნა მცხოვრებლებთა შორის 7804 ფუთი ხორბალი, 3,418 ქერი, 21,460 ფუთი სიმინდი და 10 ფუთი ლობიო. ამ სათესლე მასალით დაკმაყოფილებულ იქნა 30—35 პროც. მთელი მოთხოვნილებისა. გორის სამაზრო თესვის კომიტეტის მუშაობა მიმდინარეობდა ძალიან მძიმე პირობებში: დიდი მოთხოვნილება სათესლე მასალისა, აუარებელი შუამდგომლობანი თესლის მიწოდების შესახებ, სოფლელების ჯგუფები, რომელნიც აყუდებულნი იყვნენ თესვის კომიტეტის შენობის წინ ხორბლეულის მიღების მოლოდინში, რკინის გზის მოულოდნელი სიურპრიზები, რომელიც გამოიხატებოდა სათესლე მასალით დატვირთულ ვაგონების დაგვიანებასა და არა თავისი დანიშნულებით გაგზავნაში. ასეთი მერყეობა დანიშნულ ვაგონების თავის დროზე მიღების საქმეში, აიძულებდა თესვის კომიტეტს არსებული ან მიღებული ფონდიდან ცოტ ცოტათი მაინც დაეკმაყოფილებია თვითეული რაიონი, ხოლო შემდეგ კი მოეწყო აგენტების ერთი რაიონიდან მეორეში გადაგზავნა, რომელთაც უნდა მოეხერხებიათ ხორბალის წესიერი და თავის დროზე დარიგება და რომელთაც გარდა ამისა წინ და წინ უნდა დაეარსებიათ თესვის კომისიები, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდენ ადგილობრივ აღმასკომის, კომიაჩეიკისა და გაჭირვებულ გლეხობის წარმომადგენლები, სულ მიმდინარე წელს დათესილია 45.000 დესიატინა მიწა, ხოლო 1921 წელში კი დათესილი იყო 35 000 დეს. ე. ი. წელს 10,000 დესიატინა მეტი მიწა არის დათესილი.

აქედან ცენტრალური თესვის კომისიის დახმარებით დათესილია 13.000 დეს. მიწა, ხოლო დანარჩენი კი ადგილობრივი გლეხობის საშუალებით, მოსავალს მოელიან საშუალოს. არის მოთხოვნილება თესლით დახმარების ორგანიზაციის მოწყობისა.

მაზრისათვის დამახასიათებელი მოვლენა არის ძალიან ნაკლები მოსავალი, რის მიზეზიც გახლავთ სათესლე მასალის უვარგისობა, რომელიც 25—30 პროც. იყო გამტვერიანებული. ფართო მაშტაბით ხორბლის გაწმენდას არავინ არ აწარმოებს.

კარგი იქნებოდა თუ ამ საქმეს ხელს მოკიდებდენ კოოპერატიული ორგანიზაციები, მაგრამ ჩვენში ძლიერია მომხმარებელი კოოპერატივები, რომელთაც წარმოების საკითხები არ აინტერესებთ.

მიუხედავათ იმისა, რომ კარგ მოსავალს მოელიან, [illegible] მაინც საკმარისი არ იქნება, ქერი სავსებით მოთიბულია და შეჭმული დამშეულთაგან, ხოლო პურის მოსავალი კი იმდენათ დიდი არ არის, რომ მან დააკმაყოფილოს ყველა მოთხოვნილება და მეურნეობის საჭიროებანი.

მაზრაში მოხდა ავსტრალიის ხორბალის საცდელი დათესვა. მოსავალს ყველგან კარგი პირი უჩანს.

პარტიული ცხოვრება

მბეჭდავთა კომიაჩეიკა თბილისში

7-ივლისს გაიმართა მბეჭდავთა კომიაჩეიკის გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო დაახლოვებით 80 კაცი.

დღის წესრიგში შეტანილი იყო რამოდენიმე საკითხი:

მათ შორის აღსანიშნავია მოხსენებანი:

1. გერმანიის ამბების შესახებ.
2. ერთიანი პარტიული დღისა და დახმარების იაჩეიკების შესახებ.
3. მბეჭდავთა პარტიული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა ამხ. რუბენმა დაწვრილებით გააშუქა ისტორია გერმანიის სოც. დემოკრატიის შემთანხმებელი და გამყიდველი პოლიტიკა, რომელმაც შედეგად გამოიწვია გერმანიაში მონარქისტული გამოსვლები. მოხსენება მოსმენილ იქნა დიდის ყურადღებით და კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. რუბენის მოხსენება გერმანიის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, მე 4 რაიონის მბეჭდავთა იაჩეიკა აღნიშნავს, რომ მონარქისტული გამოსვლები გერმანიაში არის შედეგი გერმანიის სოც.-დემოკრატიის გამყიდველური პოლიტიკისა, რომელმაც გაანადგურა რა მოწინავე რევოლიუციონური ნაწილი გერმანიის პროლეტარიატისა, ამაგრებდა რეაქციას და არ ანგრევდა [illegible] მთელ აპარატს, რომელიც „დემოკრატიული რესპუბლიკის" დროსაც დარჩა მუშათა კლასის მტრების ხელში. იაჩეიკა იმედოვნებს, რომ გერმანიის პროლეტარიატი ანგარიშს გაუწევს დღევანდელი დღის შედეგებს და გამოცდილებას და ბოლოს და ბოლოს აირჩევს საბჭოთა რევოლიუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გზას.

გაუმარჯოს ერთიან მუშათა ფრონტს გერმანიაში, რაც ეგზომ საჭიროა გერმანიის მუშებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა გერმანიას!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ამხ. ატაბეკოვმა განმარტა მნიშვნელობა ერთიანი პარტიული დღისა იაჩეიკებში მიზანშეწონილი მუშაობის საწარმოებლად და აგრეთვე აუცილებლობა დახმარების იაჩეიკების მოწყობისა. ამხ. მომხსენებლის განმარტება იაჩეიკამ მიიღო სახელმძღვანელოდ და დახმარების იაჩეიკების მოწყობა მიანდო იაჩეიკის ბიუროს.

შემდეგ ცეკას პრეზიდიუმის წევრმა ამხ. დავიდოვმა, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა საქართველოს მბეჭდავთა მე-2 ყრილობაზე, იაჩეიკის ბიუროს თხოვნით დაწვრილებით და ვრცლად გააცნო დამსწრეთ რუსეთის მბეჭდავთა პოლიტიკური ცხოვრება. მსხვილ ცენტრებათ ითვლებიან: მოსკოვი—17 ათასი მუშა, პეტროგრადი—9, უკრაინა—9, ხოლო სულ დარაზმულ მბეჭდავთა რიცხვი რუსეთში უდრის 60 ათასს კაცს. ყველგან დიდი გავლენა აქვს კომპარტიას, მენშევიკები ნამდვილი დემოკრატიული გზით საბოლოოდ განდევნილნი არიან მბეჭდავთა ყველა კავშირებიდან.

ყოველ წარმოებაში არსებობს კომიაჩეიკა, რომლის წევრებიც დიდ აქტივობას იჩენენ.

მოწყობილია სათანადო კავშირი მბეჭდავთა კავშირის ცეკასა და საზღვარ-გარეთელ მბეჭდავთა შორის, „პროპაგანდისა და მოქმედების" კომიტეტის სახით.

იაჩეიკამ მოხსენება ცხოველის ინტერესით მოისმინა და ძვირფასი წარმომადგენელი საბჭოთა რუსეთის ყველა მბეჭდავებისა დააჯილდოვა მქუხარე ტაშის ცემით.

ინფორმატორი-კორესპონდენტი—**ხარაზიანი.**

პროვინციაში

სამასწავლებლო კურსები სენაკის მაზრაში

სამაზრო აღმასკომის განათლების განყოფილებამ აღმასკომთან ერთად გადაწყვიტა გაეხსნა ა. წ. ზაფხულს არდადაგებზე მოკლე ვადიანი საპედაგოგო კურსები. ეს აზრი ადრე დაიბადა: განზრახული იყო სამოსწავლო წლის დამთავრებისთანავე (მაისში) გახსნილიყო ასეთი კურსები და იგი გაგრძელებულიყო მთელი არდადეგების განმავლობაში. მაგრამ საკითხის გადაჭრა შეეძლო მხოლოდ ერთ გარემოებას: მატერიალურ საშუალებას, რომელიც ძალიან ხშირად ძირშივე ღრღნის საზოგადოებისთვის საკეთილდღეო საქმეს, იქნება კულტურულ, ეკონომიურ, თუ სხვა რაიმე აღმშენებლობით დარგში. ვისგანაც ჯერ იყო დახმარება,—იმედი გაცრუვდა. საქმე მარტოდ მარტო აღმასკომის სალაროზე მიდგა.

კურსები თავიდანვე გაიხსნებოდა, მაგრამ გადაწყვეტილი იყო მსმენელები (თუ ყველა არა, უმრავლესობა მაინც) შენახულიყო სახელმწიფო ხარჯზე. საქმე ცოტა ხნით შეჩერებულ იქნა, მაგრამ განათლების განყოფილება ამ გარემოებას ვერ ურიგდება; მას სურს მასწავლებელთა ახალი კადრის შექმნა, მაგრამ წინ ეღობება ზემოხსენებული გარემოება. აღმასკომმა გადაწყვიტა, რათაც არ უნდა დაჯდომოდა მას ეს, უკანასკნელი საშუალება გამოენახა და გაეხსნა კურსები. მოწვეულ იქნენ მსმენელები, **აღმასკომის ხარჯზე მიღებულ იქნა 40 მსმენელი**, დანარჩენები კი თავის ხარჯზე. მსმენელთა რიცხვი აღწევს 70-ს.

5 ივლისს საღამოს 6 საათზე საბჭოთა თეატრის დარბაზში შესდგა საზეიმო გახსნა პედაგოგიური კურსებისა. დარბაზი გაივსო ხალხით, რომელიც მსმენელებთან ერთად იყო მოწვეული. საზეიმო სხდომას ხსნის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ვასო ქობულია, რომელიც იღებს აგრეთვე პირველ სიტყვას.

მან მოკლედ დაახასიათა ძველი სკოლა, რომელიც იყო გაბატონებულ კლასის იარაღი. აღნიშნა მისი უარყოფითი, მახინჯი მხარეები. შემდეგ შეეხო ახალ სკოლას, მის შინაარსს და დიად მიზნებს. მაგრამ ახალი სკოლა მხოლოდ მაშინ მიაღწევს თავის მიზანს, როდესაც მას ეყოლება სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელები-პედაგოგები. კურსების მიზანია, შეძლებისდაგვარად, ასეთი პედაგოგების მომზადება.

ამხ. ქობულიას შემდეგ გამოდიან შემდეგი ამხანაგები: პარტკომიდან ამხ. ვ. ჩაკვეტაძე, აღმასკომის თავმჯდომარე ს. მამულია, კომკავშირის მაზრკომის მდივანი პაპავა შ. პროფბიუროდან ა. ოჩიგავა.

ამხ. მამულიამ აღნიშნა რა დამოკიდებულება ძველ წესწყობილებასა და მასზე აშენებულ სკოლას შორის,—დაუკავშირა ერთმანეთს ახალი წესწყობილება, შრომის განმამტკიცებელი, მშრომელთა ინტერესების დამცველი, საბჭოთა მთავრობა და ახალი შრომის სკოლა, რომელმაც მომზადებული და აქტიური ახალგაზრდობა უნდა გამოზარდოს. ბრძოლის ხანას ვერ გამოადგება გონება დაჩლუნგებული და ბრძოლის უნარს მოკლებული თაობა, როგორსაც იძლეოდა ძველი სკოლა. პირიქით, მას სჭირია აქტიური, ნამდვილი ნებისყოფის მქონე და მებრძოლი, თაობა, ასეთების მოცემა კი შეუძლია აღზრდის ახალ წესებზე აგებულ სკოლას, რომელიც ცხოვრების ნამდვილი პირობებიდან უნდა გამომდინარეობდეს და რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების გარდაქმნას.

ჩვენი საპედაგოგო კურსებზე დიდი იმედებია დამყარებული. ჩვენ გვგონია, რომ იმედები გამართლდება. კურსების პროგრამაში შედის: 1) შრომის მთლიანი სკოლა, 2) შრომის მთლიანი სკოლის გეგმა და პროგრამის განხილვა შესწავლა, 3) ქართული ენის მეთოდიკა, 4) პსიხოლოგია, 5) პედაგოგიკის ისტორია, 6) პედაგოგიკა, 7) პოლიტიკური ეკონომია, 8) საბჭოთა აღმშენებლობა, 9) ბუნების მეტყველების მეთოდიკა, 10) მათემატიკის მეთოდიკა, 11) გეოგრაფიის მეთოდიკა, 12) ჰიგიენა, 13) პრაქტიკული სანიმუშო გაკვეთილები და 14) ტანთ-ვარჯიშობა.

როგორც ვხედავთ, პროგრამა რთულია, მაგრამ ვინც ოდნავად დაინტერესებულია და გაცნობილი ამ საქმეს, ის უსათუოდ დარწმუნდება, რომ თითოეული ამ საგანთაგანი აუცილებელია.

ლექტორებად მოწვეულნი არიან: ს. მამულია, ვ. ქობულია, ვლ. დემურია, ვ. ხოდელავა, ი. სალაყაია, ბეს. კაზირია, ი. ცომაია, ა. ჩხეტია და ვ. ნადარეიშვილი.

საქმე მსმენელებზეა მიმდგარი. შემადგენლობა ასე თუ ისე გვარიანია, ზოგი საშუალო ცოდნითაა, ბევრი მასწავლებლებია, დანარჩენი საშუალოზე ნაკლები ცოდნით და ასე. ჩვენ წინდაწინ ვერ ვიტყვით, თუ რა შედეგს მოგვცემს ეს კურსები, მაგრამ ვიტყვით კი, რომ მონდომებულ და მიზანშეწონილ ცდას შეუძლია ცოტათი მაინც ნაყოფის გამოტანა.

ვ. ნადარეიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 37.

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

კომუნალური საგადასახადო კომისიების მოწყობის შესახებ.

რადგან ადგილობრივი ბიუჯეტი აღდგენილ იქნა და ყველა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება მიეცა დააწესოს გადასახადი საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1922 წლის თებერვლის 5 ს დამტკიცებულ ადგილობრივ გადასახადთა დებულების წესის მიხედვით ამა დებულების განსახორციელებლად საქართველოს სოც. საბ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს სათანადო კომუნალურ განყოფილებებთან (ან ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებებთან) კომუნალური საგადასახადო კომისიები გადასახადთა საქმის სპეციალისტის თავმჯდომარეობით. კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი, ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ წარმომადგენელთან შეთანხმებით. კომისიაში თავმჯდომარის გარდა შედის: ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი წარმომადგენელი, აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების წარმომადგენელი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი და დასაწესებელი გადასახადის გადამხდელთა ორი წარმომადგენელი.

შენიშვნა: გადამხდელთა წრიდან წარმომადგენლების არჩევის წესი განისაზღვრება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით.

2. კომისიის სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ მესამე პირნი.

3. კომუნალური საგადასახადო კომისიის სხდომა შესდგება უკეთუ მონაწილეობას მიიღებს თავმჯდომარე, ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი და გადამხდელთა ერთი წარმომადგენელი.

4. კომუნალური საგადასახადო კომისიის საქმის წარმოება დაეკისრება აღმასრულებელი კომიტეტის საგადასახადო ქვე განყოფილებას.

5. უკეთუ ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი სცნობს, რომ კომისიის დადგენილება კანონს არ ეთანხმება, ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა შეჩერებულ უნდა იქნეს და საქმე გადასაწყვეტად გადაეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის სხდომაზედაც, განსაჩივრებული დადგენილების განხილვის დროს, სათათბირო ხმის უფლებით, მოწვეულ უნდა იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

6. ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა, რომელსაც შეუძლიან დაუბრკოლებლად გაეცნოს აღმასრულებელი კომიტეტის საგადასახადო ქვე განყოფილების მთელ საქმის წარმოებას, ხელი უნდა შეუწყოს ქვე-განყოფილებას ყოველგვარი კომუნალური გადასახადის შესახებ ცნობების შეკრებაში და შეუთანხმდება აღმასრულებელ კომიტეტს აღნიშნული ცნობების შეფარდებისათვის მოქმედ კანონებსა და მთავრობის განკარგულებებთან.

7. კომუნალური საგადასახადო კომისიის მოვალეობას შეადგენს:

ა) ადგილობრივი გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაცია;

ბ) შესაწერი გადასახადის გამონაგარიშება თვითეულ გადამხდელისათვის;

გ) თემისა და სოფლის ორგანოების მოქმედების ხელმძღვანელობა თემისა და სოფლის საჭიროებისათვის გაწერილ გადასახადის აკრეფის დროს;

დ) გადამხდელთაგან შემოსულ პასუხისა და საჩივრის განხილვა

8) იმ ცნობებისა და საჩივრების განსახილველად, ზედამხედველობის წესი, რომელიც ეხება ადგილობრივ გადასახადთა დეკრეტებისა და ინსტრუქციების დარღვევას, და აგრეთვე კომუნალური საგადასახადო კომისიების მოქმედების შესათანხმებლად მოეწყოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ცენტრალური სათათბირო. სათათბიროში შედის სამი კაცი, თითო წარმომადგენელი: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან, კომუნალურ მეურნეობის მთავარ სამმართველოსი, ფინანსთა სახალხო კომისარიატიდან საგადასახადო სამმართველოსი (ან საბიუჯეტო კომისიისა) და მუშათა და გლეხთა ინსპექციისა. სათათბიროს თავმჯდომარედ უნდა იყოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, ამასთანავე კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო.

9. იმ გადამხდელს, რომელსაც მიაჩნია, რომ იგი უსამართლოდ არის დაბეგრილი, უფლება ეძლევა გადამხდელთა სიების საყოველთაო ცნობისათვის გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში შეიტანოს პასუხი (საჩივარი) ადგილობრივ კომისიაში.

10. საგადასახადო სამაზრო კომისიის გადაწყვეტილება იმ საჩივრის შესახებ, რომელიც შემოსულია თემის ხარჯებისათვის დანიშნულ გადასახადთა შეწერის გამო საბოლოოა და მისი გაუქმება, მარტოოდენ ზედამხედველობის წესით შეუძლიან ცენტრალურ სათათბიროს, იმ შემთხვევაში, უკეთუ დარღვეულ იქნება ამ საგანზე არსებული კანონი და ინსტრუქციები.

11. კომისიის დადგენილება შემოსულ საჩივარის თაობაზე, უნდა გამოეცხადოს გადამხდელს და ამ უკანასკნელს უფლება აქვს ორი კვირის ვადაზე განასაჩივროს კომისიის დადგენილება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ ცენტრალურ სათათბიროში, ადგილობრივი საგადასახადო კომისიის მეშვეობით.

12. პასუხისა და საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს გადასახადის გადახდას.

13. ადგილობრივი კომუნალური საგადასახადო კომისია მთელ მუშაობას აწარმოებს კომუნალური განყოფილების აპარატის შემწეობით და მისი უშუალო კონტროლის ქვეშ. ცენტრალურ სათათბიროს საქმის წარმოება ცენტრში დაევალება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალური მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ა. სვანიძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივლისის 10.

ტფილისი—სასახლე.

პროფესიული განცხადება

ხუთშაბათს, 13 ივლისს საღამოს 6 საათზე სოვპროფის დიდ დარბაზში მეორეთ მოწვეულია

საზოგადო კრება

მბეჭდავთა კავშირის წევრებისა

დღიური წეს რიგი:

1) საერთაშორისო მდგომარეობა.
2) მოხსენება ცენტრალურ გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
3) მოხსენება პოლიგრაფიული განყოფილებისა.
4) დელეგატთა არჩევნები სრულიად საქართველოს მბეჭდავთა სიეზდზე.
5) სხვა და სხვა.

პრეზიდიუმი.

სარედაქციო კოლეგია.

გულდამწვარნი ვასო, ვალოდია, გრიგოლი, მასიკო, ივდითი, ელენე, მარიამი და ოლია ივანეს ძე და ასულნი: ელპიტე, მაშო და თამარა ძადეიშვილისანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი და მეორენი საყვარელი დის, ხოლო უკანასკნელნი ძვირფასი მეულის

ნინო ივანეს ასულის შენგელაიას

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება დღეს, 4 საათზე (მოსკოვის ქ. № 24) დაკრძალვა წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე. (1—1)

ღრმად დამწუხრებული აქიმი ვეტერინარი ბესარიონ პავლეს ძე შენგელია და შვილები მისი ეკატერინე და დარეჯანი ბესარიონის ასულნი გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ, რომ კვირას 9 ივლისს უდროოდ გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე, ხოლო უკანასკნელნის ძვირფასი დედა

ნინო ივანეს ასული შენგელიასი

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 13 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე (მოსკოვის ქ., № 4) წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე. (3—3)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

საავადმყოფო? სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91. (25—8)

თფ. აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში (ოთახი № 10) 15 ივლისს დღის 12 საათზე გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

ქვემო დასახელებულ სასტუმროების იჯარით გასაცემად.

1. ელიზავეტპოლი	ვორონცოვის ქ. № 21.
2. შემახა	19 თებერ. ქ. № 54.
3. ივერია	პლეხანოვის ქ. № 5.
4. ახლდიდი ნომრები	ვორონცოვის ქ. № 35.
5. კარაბახი	ბანის ქ. № 4.
6. აზერბაიჯანი	ვორონცოვის ქ. № 24.
7. ბორჯომი	19 თებერვლის ქ. № 93.
8. [illegible]	სამტრედის ქ. № 2.
9. ირანი	ვორონცოვის ქ. 26.
10. კომერციული ნომრები	ირაკლის ქ. № 8.

თბილისის სამოქალაქო სასაკლაოებში

ამ დღეებში ამუშავებულ იქნება

მშვენივრად მოწყობილი საციებელი

(საყინულე) შესანახავად. ყოველ გვარ ადვილად გასაფუჭებელ საწონავის, როგორიც არის: ხორცი, თევზი, ეხმო, კარაქი, კვერცხი, ხილი და სხვა. ვისაც სურს გაეცნოს იჯარის პირობებს, აგრეთვე იღიონ იჯარის უჯრები საციებელში—[illegible] სასაკლაოების დირექტორს (ნავთლუღი), ან წარმომადგენს სასაკლაოს (ელმასხანა, ოთახი № 41).

იჯდი იღებთ [illegible]: ადგილობრივ ფუთი 30.000 მანეთი, მიტანით 45.000 მანეთი.

[illegible] შენახვის [illegible] განცხადებას, სასაკლაოების კანცელარიაში (ტელეფ. № 8—66).

თბილისის სამოქალაქო სასაკლაოების დირექტორი: დვორაკოვსკი. (3—1)

დადგენილება

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ურთი-ერთ შორის ანგარიშების მოწესრიგების შესახებ.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამო, ყველა სახელმწიფოებრივი და საზოგადო დაწესებულებანი გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშზე. [illegible]

[illegible]

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**

კომუნ. განყოფილების გამგე [illegible]

(3—2) საორგანიზაციო განყოფილების გამგე [illegible]

საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კონსტიტუციის ქ. № 4.